<p><b>მუხლი 375.</b> <b>შესასრულებელ ვალდებულებათა არჩევა</b></p> <p>თუ აღმოჩნდა, რომ მოვალეს ორი შესასრულებლიდან შეუძლია უარი თქვას ერთ-ერთზე, მაშინ ძალაში რჩება მეორე მოქმედების შესრულების ვალდებულება.</p>	<p><b>Art. 375 Wahl <del>der</del>zwischen zu bewirkenden Leistungen</b> <b><u>Verbindlichkeiten</u></b></p> <p>Wenn sich herausstellt, dass der Schuldner von zwei <b>Leistungen</b> <b><u>Leistungsinhalten</u></b> einen verweigern kann, dann bleibt die Verpflichtung zur übrigen Leistung wirksam.</p>	<p>&gt; Art. 374</p> <p><i>Erl.: ორი შესასრულებლიდან [urspr.: zwei Leistungen] hebt den Versprechenscharakter des Schuldverhältnisses hervor, bezieht sich also weder auf die Leistungshandlung noch den Leistungseffekt, und sollte daher mit "Leistungsinhalten" übersetzt werden.</i></p>	<p><b>BGB § 265 Unmöglichkeit bei Wahlschuld</b> <sup>1</sup>Ist eine der Leistungen von Anfang an unmöglich oder wird sie später unmöglich, so beschränkt sich das Schuldverhältnis auf die übrigen Leistungen. <sup>2</sup>Die Beschränkung tritt nicht ein, wenn die Leistung infolge eines Umstands unmöglich wird, den der nicht wahlberechtigte Teil zu vertreten hat.</p>
<p><b>მუხლი 376.</b> <b>ალტერნატიულ ვალდებულებათა არჩევის წესი</b></p> <p>374-ე მუხლის მიხედვით არჩევა ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე განცხადებით ან შესრულების განხორციელებით. არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად.</p>	<p><b>Art. 376 Die Regel der Wahl von alternativen Leistungen</b> <b><u>Verbindlichkeiten</u></b></p> <p>Nach Artikel 374 erfolgt die Wahl durch Erklärung oder Leistung gegenüber dem anderen Teile. Die gewählte <b>Leistung</b> <b><u>Verbindlichkeit</u></b> gilt als die von Anfang an zu bewirkende.</p>	<p>&gt; Art. 374</p>	<p><b>BGB § 263 Ausübung des Wahlrechts; Wirkung</b> (1) Die Wahl erfolgt durch Erklärung gegenüber dem anderen Teil. (2) Die gewählte Leistung gilt als die von Anfang an allein geschuldete.</p>
<p><b>მუხლი 377.</b> ორზე მეტი შესასრულებელი ვალდებულების არჩევა</p> <p>374 – 376-ე მუხლების</p>	<p><b>Art. 377 Wahl bei mehr als zwei zu bewirkenden Leistungen</b> <b><u>Verbindlichkeiten</u></b></p> <p>Die Regeln der Artikel 374</p>	<p>&gt; Art. 374</p>	<p>BGB: Keine entsprechende Regelung</p>

<p>წესები გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როცა ვალდებულების არჩევის საგანს შეადგენს ორზე მეტი შესრულება.</p>	<p>bis 376 gelten auch für die Fälle, <b>wenn in denen</b> mehr als zwei Leistungen Gegenstände der Leistungswahl sind.</p>	
<p><b>მუხლი 378.</b> ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება</p> <p>მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება), თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა.</p>	<p><b>Art. 378</b> <b>Teilleistung</b><u>Teilerfüllung</u></p> <p>Der Schuldner ist <b>berechtigt, zur Leistung eine Verbindlichkeit in Teilen <b>berechtigt zu bewirken</b> (TeilleistungTeilerfüllung), wenn der Gläubiger damit einverstanden ist.</b></p>	<p><i>Erl. ნაწილობრივი შესრულება [urspr.: Teilleistung] spricht wörtlich von der teilweisen Erfüllung der Verbindlichkeit, sollte daher mit „Teilerfüllung“ übersetzt werden.</i></p> <p>&gt; Art. 374</p> <p><b>BGB § 266 Teilleistungen</b> Der Schuldner ist zu Teilleistungen nicht berechtigt.</p>
<p><b>მუხლი 379.</b> კრედიტორის უფლება სხვა შესრულების მიღებაზე</p> <p>კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულება დიდი ღირებულების მქონეა.</p>	<p><b>Art. 379 Das Recht des Gläubigers auf Annahme einer anderen Leistung</b></p> <p>Der Gläubiger ist nicht verpflichtet, eine andere Leistung anzunehmen als diejenige, die durch Vertrag vorgesehen war. Diese Regel gilt auch dann, wenn die <b>andere Leistung höherwertig</b> ist.</p>	<p><b>BGB § 364 Annahme an Erfüllungs statt</b> (1) Das Schuldverhältnis erlischt, wenn der Gläubiger eine andere als die geschuldete Leistung an Erfüllungs statt annimmt.</p>
<p><b>მუხლი 380.</b> ვალდებულების შესრულების ხარისხი</p> <p>თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.</p>	<p><b>Art. 380 Qualität der Leistung</b><u>Erfüllung</u></p> <p>Ist die Qualität der Leistung vertraglich nicht näher bestimmt, so hat der Schuldner eine Leistung mindestens mittlerer Qualität zu bewirken und <b>die eine</b> Sache von mindestens mittlerer Qualität zu übergeben.</p>	<p><i>Erl.: ვალდებულება [urspr.: Leistung] ist wörtlich die zu leistende (oder zu bewirkende) Verbindlichkeit, also der Leistungseffekt und daher mit „Erfüllung“ zu übersetzen (&gt; Art. 363 Abs. 2).</i></p> <p><b>BGB § 243 Gattungsschuld</b> (1) Wer eine nur der Gattung nach bestimmte Sache schuldet, hat eine Sache von mittlerer Art und Güte zu leisten.</p>
<p><b>მუხლი 381.</b> ვალდებულების შესრულება ინდივიდუალურად</p>	<p><b>Art. 381 Leistung</b><u>Erfüllung</u> <b>bei einer individuell bestimmten Sache</b></p>	<p>&gt; Art. 363 Abs. 2; Art. 380</p> <p>BGB: Keine entsprechende Regelung</p>



<p><b>განსაზღვრული საგნის არსებობისას</b>          თუ ხელშეკრულების საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების მქონე.</p>	<p>Ist der Vertragsgegenstand eine individuell bestimmte Sache, so ist der Gläubiger nicht verpflichtet, eine andere Sache anzunehmen, auch wenn diese höherwertig ist.</p>	
<p><b>მუხლი 382. ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის არსებობისას</b>          თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს.</p>	<p><b>Art. 382 <u>Leistung-Erfüllung bei einer Gattungssache</u></b>          Ist der <u>Erfüllungsgegenstand</u> <u>Leistungsgegenstand</u> eine austauschbare Sache (Gattungssache), so hat der Schuldner die Verbindlichkeit unter allen Umständen zu erfüllen.</p>	<p>&gt; Art. 363 Abs. 2; Art. 380      <i>BGB: Keine entsprechende Regelung</i></p> <p>&gt; Art. 363 Abs. 2</p>
<p><b>თავი მეორე ფულადი ვალდებულების შესრულება</b></p>	<p><b>Abschnitt 2 Erfüllung einer <u>Geldverpflichtung</u> <u>Geldverbindlichkeit</u></b></p>	<p>&gt; Art. 95 Abs. 1</p>
<p><b>მუხლი 383. ცნება</b>          ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის.</p>	<p><b>Art. 383 Begriff</b>          Eine Geldschuld wird in der nationalen Währung ausgedrückt. Die Parteien können eine Geldschuld in ausländischer Währung vereinbaren, soweit dies nicht durch Gesetz verboten ist.</p>	<p><b>BGB § 244 Fremdwährungsschuld (1)</b> Ist eine in einer anderen Währung als Euro ausgedrückte Geldschuld im Inland zu zahlen, so kann die Zahlung in Euro erfolgen, es sei denn, dass Zahlung in der anderen Währung ausdrücklich vereinbart ist.</p>
<p><b>მუხლი 384. (ამოღებულია)</b>          საქართველოს 2007 წლის 29 ივნისის კანონი №5127 - სსმ I, №27, 17.07.2007წ., მუხ.260</p>	<p><b>Art. 384 (weggefallen)</b>          [Fn.: Das georgische Gesetz v. 29. Juni 2007, №5127 - Webseite, სსმ I, №27, 17.07.2007, Art. 260]</p>	
<p><b>მუხლი 385. ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესი</b>          ის, რაც ვალდებულების გარეშე გადახდილი,</p>	<p><b>Art. 385 Rückforderung des nicht Geschuldeten</b>          Eine Zahlung, die ohne eine Verpflichtung erfolgte,</p>	<p><i>BGB: Keine entsprechende Regelung</i></p>

<p>შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი.</p>	<p>kann nach den Vorschriften über <del>die</del><u>eine</u> ungerechtfertigte Bereicherung zurückgefordert werden.</p>	<p>BGB: Keine entsprechende Regelung</p>
<p><b>მუხლი 386. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი</b>  1. შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით.</p> <p>2. თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია.</p>	<p><b>Art. 386 Erfüllungsort einer Geldschuld</b></p> <p>(1) Im Zweifel ist der Erfüllungsort für eine Geldschuld der Aufenthaltsort (Wohnsitz oder <b>juristische Anschrift</b><u>Meldeanschrift</u>) des Gläubigers.</p> <p>(2) Wenn der Gläubiger in einer Bank ein Girokonto an dem Ort oder in dem Land unterhält, in welchem die Zahlungspflicht zu erfüllen ist, dann kann der Schuldner seine Geldschuld durch Überweisung auf dieses Konto erbringen, es sei denn, dass der Gläubiger <b>diesem dem</b> widerspricht.</p>	<p><b>BGB § 270 Zahlungsort</b>  (1) Geld hat der Schuldner im Zweifel auf seine Gefahr und seine Kosten dem Gläubiger an dessen Wohnsitz zu übermitteln.  (2) Ist die Forderung im Gewerbebetrieb des Gläubigers entstanden, so tritt, wenn der Gläubiger seine gewerbliche Niederlassung an einem anderen Orte hat, der Ort der Niederlassung an die Stelle des Wohnsitzes.</p> <p>BGB: Keine entsprechende Regelung</p>
<p><b>მუხლი 387. ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა</b>  1. თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც</p>	<p><b>Art. 387 Reihenfolge der Tilgung von Geldschulden</b></p> <p>(1) Ist der Schuldner dem Gläubiger aus verschiedenen Schuldverhältnissen zu mehreren gleichartigen Leistungen verpflichtet und reicht das von ihm Geleistete nicht zur Tilgung sämtlicher Schulden aus, so wird diejenige Schuld getilgt, welche der Schuldner bei der Leistung wählt. Trifft der Schuldner keine Wahl, so wird die Schuld getilgt, deren Fälligkeit zuerst eingetreten ist.</p>	<p><b>BGB § 366 Anrechnung der Leistung auf mehrere Forderungen</b>  (1) Ist der Schuldner dem Gläubiger aus mehreren Schuldverhältnissen zu gleichartigen Leistungen verpflichtet und reicht das von ihm Geleistete nicht zur Tilgung sämtlicher Schulden aus, so wird diejenige Schuld getilgt, welche er bei der Leistung bestimmt.  (2) Trifft der Schuldner keine Bestimmung, so wird zunächst die fällige Schuld, unter mehreren fälligen Schulden diejenige, welche dem Gläubiger geringere Sicherheit bietet, unter mehreren gleich sicheren die dem Schuldner lästigere, unter mehreren gleich lästigen die ältere Schuld und bei gleichem Alter jede Schuld verhältnismäßig getilgt.</p>

<p>პირველად დადგა.                  2. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა.                  3. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.</p>	<p>(2) Sind die Forderungen gleichzeitig fällig geworden, so ist zunächst diejenige zu <b>erfüllen</b> <u>tilgen</u>, die dem Schuldner am lästigsten ist.</p> <p>(3) Sind die Forderungen gleich lästig, dann ist zunächst diejenige zu <b>erfüllen</b> <u>tilgen</u>, die die geringste Sicherheit bietet.</p>	<p><i>Erl.: შესრულდეს [urspr.: zu erfüllen] sollte einheitlich wie in Abs. 1 mit "zu tilgen" übersetzt werden.</i></p> <p>s. o.</p>
<p><b>მუხლი 388. სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი</b>                  მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადა მოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ – ძირითადი შესრულება (ვალი) და ბოლოს – პროცენტები.</p>	<p><b>Art. 388 Vorrang der Tilgung von Gerichtskosten</b></p> <p>Aus Zahlungen des Schuldners, die zur Tilgung der gesamten fälligen Schuld nicht ausreichen, sind zunächst die Gerichtskosten, dann die Hauptschuld und zuletzt die Zinsen zu tilgen.</p>	<p><b>BGB § 367 Anrechnung auf Zinsen und Kosten</b>                  (1) Hat der Schuldner außer der Hauptleistung Zinsen und Kosten zu entrichten, so wird eine zur Tilgung der ganzen Schuld nicht ausreichende Leistung zunächst auf die Kosten, dann auf die Zinsen und zuletzt auf die Hauptleistung angerechnet.</p>
<p><b>მუხლი 389. ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას</b>                  თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ</p>	<p><b>Art. 389 Erbringung der Geldschuld bei Kursumstellung der Geldeinheit</b></p> <p>Wenn vor Eintritt der Fälligkeit der Zahlung die <b>Geldeinheit</b> <u>der</u> <u>Währungswert</u> (der <b>Kurs</b> <u>Wechselkurs</u>) vergrößert oder verringert oder die Währung umgestellt wird, so hat der Schuldner nach dem Kurs zu zahlen, der dem Kurs zur Zeit der Entstehung des Schuldverhältnisses entspricht. Bei einer Währungsumstellung ist dem Tauschverhältnis der Kurs zugrunde zu legen, der am Tag der Währungsumstellung</p>	<p>BGB: Keine entsprechende Regelung</p> <p><i>Erl.: ფულის ერთეული [urspr.: Geldeinheit] bezeichnet die kleinste Einheit in der Währung in ihrer werttragenden Funktion und damit den Währungswert.</i></p>

ერთეულებს შორის.

zwischen diesen  
~~Geldeinheiten~~ Währungen  
bestand.

# სავალდებულო დაზღვევის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანთან

ასოც. პროფ. დოქ. ნატალია მონონელიძე  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## შესავალი

რაც უფრო განვითარებული და მდიდარია სახელმწიფო და სადაზღვევო სისტემა, მით უფრო მეტი სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს. ბევრ ქვეყანაში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სწორედ სავალდებულო დაზღვევის სახეთა გაფართოება დაედო საფუძვლად. მიუხედავად ამისა, სავალდებულო დაზღვევას დღემდე ბევრი ოპონენტი ჰყავს. ისინი მიუთითებენ, რომ ბაზარი, პირველ რიგში, უნდა განვითარდეს ნებაყოფლობითი დაზღვევის ხარჯზე. თავად მზღვეველები უნდა იყვნენ მოტივირებულნი, შესთავაზონ კლიენტს მისაღები პროდუქტი და ამის ხარჯზე გააფართოონ ბიზნესი, და არა სახელმწიფოს მხრიდან სავალდებულო დაზღვევით, როგორც იძულების მექანიზმით.

ყველაზე მწვავე კრიტიკა სავალდებულო დაზღვევის მიმართ გამოწვეულია იმ მიზეზით რომ, იგი ეწინააღმდეგება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელშიც ადამიანის თვითგამორკვევის ძირითადი უფლებაა გამოხატული.<sup>1</sup> ხელშეკრულების თავისუფლება გულისხმობს მხარის უფლებას თავისუფლად დადოს და მოშალოს ხელშეკრულება, აგრეთვე, თავი-

სუფლად განსაზღვროს მისი შინაარსი<sup>2</sup> — (დადებისა და შინაარსის თავისუფლება). მართალია, საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ არ არის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოწესრიგებული, მაგრამ მის ძირითად კონსტიტუციურ საფუძვლად, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული, ადამიანის ძირითადი უფლებების თავი არის მიჩნეული.<sup>3</sup> შესაბამისად, ამ უფლებების შეზღუდვა და სუბიექტთა საქმიანობაში ნებისმიერი საკანონმდებლო ჩარევა, ყოველთვის განპირობებული უნდა იყოს კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე საჯარო ლეგიტიმური მიზნებით. საქართველოს კონსტიტუციის 34 III მუხლის თანახმად, „ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება“.

## 1. დაზღვევის ფორმები

### 1.1. ნებაყოფლობითი დაზღვევა

წინა თავში განხილული იყო დაზღვევის კლასიფიკაცია სახეების მიხედვით, კლასიფიკაციის

<sup>1</sup> Looschelders/Pohlmann, *Versicherungsvertragsgesetz, Kommentar*, 2. Aufl., 2011, § 113 Rn. 3.

<sup>2</sup> Looschelders/Pohlmann, *Versicherungsvertragsgesetz, Kommentar*, 2. Aufl., 2011, § 113 Rn. 3.

<sup>3</sup> ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი 2017, 72.

მომდევნო ტიპი, რომელზეც ამ თავში იქნება საუბარი, ეხება დაზღვევის ფორმებად დაყოფას.

დაზღვევის ფორმებად კლასიფიკაციის ყველაზე ცნობილი და გავრცელებული მეთოდია მისი დაყოფა ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევად. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, დაზღვევა ხორციელდება სავალდებულო და ნებაყოფლობითი ფორმით. ნებისმიერი დაზღვევა, რომელიც არ არის სავალდებულო, ნებაყოფლობით დაზღვევას წარმოადგენს. ნებაყოფლობითი დაზღვევის ქვეშ მოიაზრება დაზღვევა, რომელიც საკანონმდებლო იძულების გარეშე წარმოიშობა. ასეთი ტიპის ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს ხელშეკრულების დადებისა და შინაარსის თავისუფლების პრინციპი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათ შორის ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაშიც, სხვადასხვა საკანონმდებლო დანაწესით, გარკვეულწილად, შეზღუდულია დადებისა და შინაარსის თავისუფლება. ასეთ შეზღუდვას განეკუთვნება ჩანაწერები, რომლებშიც მკაფიოდ არის მითითებული გარკვეული შინაარსის შეთანხმებათა ბათილობაზე. ასევე, ნახევრად სავალდებულო ნორმები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებული იყოს დამზღვევის საზიანოდ. ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა, უმეტესწილად, განპირობებულია სამოქალაქო სამართალში მოქმედი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.<sup>4</sup>

## 2.2. სავალდებულო დაზღვევა

ნებაყოფლობითი დაზღვევის საპირისპირო კატეგორია სავალდებულო დაზღვევაა. იგი გულისხმობს კანონის ძალით ამა თუ იმ ქმედებისა თუ პროფესიის განმახორციელებელი სუბიექტისთვის სავალდებულო დაზღვევის დაწესებას. სკ-ის 801-ე მუხლის თანახმად, კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სავალდებულო დაზღვევა, რომლის მიმართაც გამოიყენება სკ-

ის დაზღვევის დებულებები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობას.<sup>5</sup>

### 2.2.1. სავალდებულო დაზღვევის განხორციელება და მისი განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგები

სავალდებულო დაზღვევას ნებაყოფლობითი დაზღვევისაგან მხოლოდ ერთი ძირითადი მახასიათებელი განასხვავებს: უმეტესად სავალდებულო დაზღვევის დროს დამზღვევს ევალება დააზღვიოს სხვა პირთა (დაზღვეულთა) სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება, ან დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე.

საპირისპირო ინტერპრეტაციის ძალით შეიძლება უკუდასკვნის გაკეთება, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება დამზღვევს დაევალოს დააზღვიოს თავისი სიცოცხლე. აღნიშნული ვალდებულება მას შეიძლება მხოლოდ მესამე პირების მიმართ დაეკისროს. სავალდებულო დაზღვევის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი სანქციები საკმაოდ მკაცრია. კანონის 6 I მუხლის თანახმად, „თუ პირი, რომლის მიმართაც კანონის ძალით უნდა განხორციელდეს სავალდებულო დაზღვევა, არ არის დაზღვეული, მას უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს დაზღვევის განხორციელება დამზღვევს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი დაზღვევის ვალდებულება.“ მიუხედავად რეგულაციის სიმკაცრისა, საყურადღებოა მისი განხორციელების სირთულე. ნორმა ორიენტირებულია იმაზე, რომ მოთხოვნა, ხელშეკრულების დადების თაობაზე, დააყენოს ხელშეკრულების მხარემ (დაზღვეულმა) და არა მესამე პირმა (დაზარალებულმა). მაგალითად, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 72 I მუხლით დადგენილია: „მოსამართლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების დაზღვევა ხორციელდება

<sup>4</sup> Lorenz, in: Beckmann / Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. Aufl., München 2009, § 1 Rn. 92-96.

<sup>5</sup> Looschelders / Pohlmann, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Aufl., 2011, § 113 Rn. 3.

უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტიდან, ხოლო სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებისა — საერთო სასამართლოების ბიუჯეტიდან”. კანონის 72 II მუხლის თანახმად კი „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება უზენაეს სასამართლოსა და ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციას შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული ხელშეკრულებით ან ვაუჩერის საშუალებით. სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეების სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციას შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული ხელშეკრულებით ან ვაუჩერის საშუალებით”. შესაბამისად, საერთო სასამართლოების მოსამართლეს უფლება აქვს მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაუზღვევლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს და მოსთხოვოს დამზღვევს კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულება. თავის მხრივ, მზღვეველი ვალდებულია, კანონის 5 V მუხლის თანახმად, დადოს ხელშეკრულება დამზღვევთან კანონით განსაზღვრული პირობებით. გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს ეს უფლება აზრს მოკლებულია, ვინაიდან მისი მფლობელი (დაზარალებული) განისაზღვრება მხოლოდ შესაბამისი გარემოებების ე.ი. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ. შესაბამისად, ფაქტის დადგომის შემდეგ ხელშეკრულების დადება დაზარალებულისთვის აზრს მოკლებულია, რამდენადაც დაზარალებულ მესამე პირს კანონის ძალით ისედაც აქვს მინიჭებული უფლება მოითხოვოს ხელშეკრულებით თუ დელიქტით გამონვეული ზიანის ანაზღაურება.

როგორც აღინიშნა, თითოეული სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების დადება კანონით განისაზღვრება. სწორედ ეს ანიჭებს მას

ლეგიტიმურობას. კანონის შემოღებით კანონმდებელი, არა მხოლოდ განსაზღვრავს დასაზღვევ სუბიექტთა და რისკთა წრეს, არამედ ადგენს იმ მინიმალურ ლიმიტს, რომლის ფარგლებშიც უნდა დაიდოს დაზღვევის ხელშეკრულება და იმ სანქციებს, რომელიც დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობას მოჰყვება.

სავალდებულო დაზღვევათა უმრავლესობა მიმართულია ამა თუ პროფესიისა თუ უფლებამოსილების განხორციელების დროს მესამე პირებისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისკენ. შესაბამისად, კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს, ამ ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის<sup>6</sup> 22-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისთვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ. ამავე კანონის 23 I მუხლის თანახმად კი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება სავალდებულო პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის, აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება მას ეკისრება ნოტარიუსთა პალატისთვის დანიშნიდან 2 თვის ვადაში. საქართველოს ნოტარიუსთა რეესტრში ნოტარიუსის რეგისტრაციისა და მისი საქმიანობის დაწყების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას სწორედ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს. ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით კი განისაზღვრება პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობები და სადაზღვევო თანხის მინიმალური ზღვარი. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ნოტარიუსის სავალდებულო პროფესიული სადაზღვევო თანხის მინიმალურ ოდენობად განისაზღვრება წელიწადში 100 000 ლარი. ნოტარიუსის ფუნქცი-

<sup>6</sup> საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, 04.12.2009.

ის შესრულებისას მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს მზღვეველი, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდით. თუ მზღვეველის მიერ გადახდილი ანაზღაურება არ არის საკმარისი მიყენებული ზიანის სრულად ასანაზღაურებლად, ნოტარიუსი ფარავს სხვაობას სადაზღვევო ანაზღაურებასა და ზიანის ფაქტობრივ ოდენობას შორის. რა თქმა უნდა, ნოტარიუსს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გაზარდოს კანონმდებლის მიერ დადგენილი სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობა და შეეცადოს მაქსიმალურად დააზღვიოს მოსალოდნელი ზიანი. სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არარსებობა ან ამ ბრძანებით განსაზღვრული პირობების დარღვევა წარმოადგენს ნოტარიუსისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

მომდევნო სუბიექტი, რომლის პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევაც იქნება განხილული, არის სადაზღვევო ბროკერი. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის 161 III მუხლის თანახმად, სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს, სამსახურის მიერ დადგენილი წესით (მათ შორის, ლიმიტები, დაზღვევის პირობები), პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას. 2019 წლიდან სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველსაყოფად ამოქმედდა საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დადგენის შესახებ, რომლითაც დადგინდა სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები (მათ შორის, ლიმიტები). აღნიშნული ბრძანების თანახმად, სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე, ფლობდეს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას. კერძოდ, მას ევალება სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წარადგინოს ამ წესით განსაზღვრული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი —

ხელშეკრულება და პოლისი, სამსახურში სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციიდან, დაზღვევის ხელშეკრულების გაგრძელებიდან ან მასში ცვლილების შეტანიდან, ახალი ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტია ქონებრივი ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისას მესამე პირისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან. სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წლიური მინიმალური სადაზღვევო ლიმიტი, საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე, განისაზღვრება სადაზღვევო ბროკერის ან უცხოური იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ წინა საანგარიშო წელს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობით მიღებული შემოსავლის სულ მცირე ორმაგი ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარისა. თუ სადაზღვევო ბროკერის მიერ საშუამავლო საქმიანობის შედეგად მესამე პირისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა აღემატება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ლიმიტს, სხვაობა ანაზღაურდება უშუალოდ სადაზღვევო ბროკერის მიერ. შესაბამისად, ბროკერს შეუძლია კანონით დადგენილი ანაზღაურების მინიმალური ოდენობა, თავისი შეხედულებისამებრ, გაზარდოს. სავალდებულო პროფესიული დაზღვევის წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიყენოს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სანქციები. კერძოდ, კანონის 21<sup>1</sup> III<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სამსახური უფლებამოსილია სადაზღვევო ბროკერის მიმართ გამოიყენოს სანქციები თუ ბროკერმა დაარღვია კანონის ერთ-ერთი დებულება ან სამსახურის რომელიმე ნორმატივი, ინსტრუქცია, წესი, მოთხოვნა, წერილობითი მითითება. შესაბამისად, კანონით დადგენილი სავალდებულო დაზღვევის არ არსებობის შემთხვევაში სამსახურს შეუძლია:

ა. სადაზღვევო ბროკერს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;



ბ. დაანესოს სპეციალური ღონისძიებები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ სადაზღვევო ბროკერმა შეწყვიტოს და აღარ დაუშვას შესაბამისი დარღვევა და სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში მიიღოს ზომები ამ დარღვევის აღმოსაფხვრელად;

გ. სადაზღვევო ბროკერს სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილი ოდენობით დააკისროს ფულადი ჯარიმა;

დ. სადაზღვევო ბროკერს გაუუქმოს რეგისტრაცია.

ზოგიერთი სავალდებულო დაზღვევის წესის დარღვევისთვის სანქციები გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. 2017 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის სრული პერიოდით.<sup>7</sup> სავალდებულო დაზღვევით ანაზღაურდება ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით და მისგან გამომდინარე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანი. ამავე კანონით განსაზღვრულია სადაზღვევო პრემიისა და ლიმიტის ოდენობის გამონაკლისი პირობები, რომელ შემთხვევებშიც მზღვეველს პასუხისმგებლობა არ ეკისრება. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი, მათ შორის საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი, არ დაიცავს კანონით დადგენილ მოთხოვნას პასუხისმგებლობის სავალდებულო წესით დაზღვევის თაობაზე, ამავე კანონის მე-16 მუხლის მიხედვით პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 191<sup>1</sup>-ე მუხლი კი განსაზღვრავს ჯარიმის ოდენობას თითოეული კატეგორიის ავტომობილის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ მძღოლი, რომელიც ჩაიდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ჯარიმის დაკისრებასთან ერთად ევალება ჩადენილი სამართალდარღვევის აღმოფხვრა 2 დღის ვადაში. თუ უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის შემდეგ გამოიწვევს სადაზღვევო შემთხვევას და მას არ ექნება სავალდებულო წესით სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვეული, იგი დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებს ზოგადი წესის შესაბამისად.

## 2.2.2. სავალდებულო დაზღვევის ფუნქციები და შემოღების წინაპირობები

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს სავალდებულო დაზღვევის ზოგადი ფუნქციები:

1. რისკის უზრუნველყოფა - სუბიექტები, რომლებზეც სავალდებულო დაზღვევა ვრცელდება, იძულებულნი არიან წინასწარ იზრუნონ საკუთარი ან სხვა პირების ქონებრივი ზიანის პრევენციაზე.

ყოველივე ეს ასევე იწვევს სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განთავისუფლებას, რაც სავალდებულო დაზღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

2. მზღვეველის დაცვა გადახდისუუნარობისგან - სავალდებულო დაზღვევა მეტ სიმყარეს სძენს სადაზღვევო კომპანიებს, ვინაიდან რისკის დაბალანსება, მრავალრიცხოვანი დაზღვეულების შემთხვევაში, გაცილებით მარტივად მიიღწევა.

3. დამზღვევის დაცვა გადახდისუუნარობისგან - სავალდებულო დაზღვევა უზრუნველყოფს დამზღვევის მიერ დაზარალებული მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას.

4. სადაზღვევო პროდუქტის ღირებულების შემცირება - მრავალრიცხოვან დამზღვევთა გაერთიანების შედეგად სადაზღვევო პროდუქტი იაფი ხდება.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ, 28.12.2017.

<sup>7</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის

თავის მხრივ, სავალდებულო დაზღვევას აქვს უარყოფითი მხარეები:

- ✓ დაზღვევაზე ვალდებული პირის კერძო ავტონომიაში ჩარევა;
- ✓ ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების შეზღუდვა, რამდენადაც სავალდებულო დაზღვევათა უდიდესი ნაწილი ადგენს მინიმალურ ოდენობას (ლიმიტს);
- ✓ პროფესიის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისთვის დაზღვევა სავალდებულოა;
- ✓ მესაკუთრის უფლების შეზღუდვა, თუ ქონების დაზღვევა სავალდებულო წესით არის განსაზღვრული;
- ✓ მორალური რისკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი სავალდებულო დაზღვევის შემოღებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

- უნდა არსებობდეს საზოგადოებრივ ან პირთა ფართო წრის მიმართ საფრთხე;
- შემთხვევების დიდი ნაწილის მიმართ უნდა არსებობდეს საფრთხე, რომ ზიანის მიყენებელი პირის ფინანსური მდგომარეობა არ იქნება საკმარისი ზიანის კომპენსირებისთვის, რაც დაზღვეულის ქმედების შედეგად, მიადგება მას თავად ან მესამე პირს;
- სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესრულება უნდა იყოს კონტროლირებადი;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავალდებულო სადაზღვევო დაცვის ხელმისაწვდომობა ბაზარზე;
- სადაზღვევო დაცვა შესაძლებელი უნდა იყოს ეკონომიკურად გონივრული, გადახდადი სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ.

### 2.2.3. კონტრაქტების იძულების გამამართლებელი კონსტიტუციური საფუძველი

როგორც წესი, სავალდებულო დაზღვევათა უდიდესი ნაწილი პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას ეხება. სავალდებულო დაზღვევით ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების შეზღუდვა ხდება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების შინაარსის მინიმალური სტანდარტის დაწესებით და მინიმალური სადაზღვევო თანხის დადგენით, ხოლო ხელშეკრულების დადების თავისუფლების შეზღუდვა ხდება მზღვეველის კონტრაქტების იძულებით. კერძოდ, სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მზღვეველი ვალდებულია დადოს დაზღვევის ხელშეკრულება ნებისმიერ პირთან,<sup>8</sup> ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, დამზღვევეს უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვევის განხორციელება.<sup>9</sup>

სავალდებულო დაზღვევა, კონტრაქტების იძულებაა. გარდა იმისა, რომ იგი მიმართულია განსაკუთრებით საშიში ან მაღალი რისკის მქონე საქმიანობით (ქმედებით) დაკავებული პირებისკენ და ავალდებულებს მათ ხელშეკრულების დადებას, იგი ასევე წარმოადგენს მზღვეველის კონტრაქტების იძულების საშუალებას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თუ სახელმწიფო კონკრეტული საქმიანობის (პროფესიის, ქმედების) განსახორციელებლად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას წინაპირობად აყენებს, მაშინ შესაბამისი სადაზღვევო პროდუქტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სადაზღვევო ბაზარზე.<sup>10</sup>

კონტრაქტების იძულება სახელშეკრულებო სამართალში, სკ-ის 54-ე მუხლიდან გამომდინარე, მხოლოდ იშვიათ გამოჩვენების შემთხვევაში დაიშვება. ეს გამოჩვენების ყოველთვის კანონით განისაზღვრება. სკ-ის 801-ე მუხლის თანახმად, “კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სავალდებულო დაზღვევა, რომლის მიმართაც გამოიყენება ამ თავის წესები, თუ ეს არ

<sup>8</sup> საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, (02.05.1997) 5 V მუხლი.

<sup>9</sup> საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, (02.05.1997) 6 I მუხლი.

<sup>10</sup> *Looschelders/Pohlmann, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Aufl., 2011, § 113, Rn. 4.*

ენინაალმდეგება კანონმდებლობას სავალდებულო დაზღვევის შესახებ.” სავალდებულო დაზღვევის შემოღება ყოველთვის კანონის ძალით ხდება. არცერთ სხვა ნორმატიულ აქტს, კანონის გარდა, არ შეუძლია დაადგინოს სავალდებულო დაზღვევა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, შეესაბამება თუ არა სავალდებულო დაზღვევის შემოღება კონსტიტუციით ნაგულისხმევ ლეგიტიმურ მიზანს და რამდენად გამართლებულია კონტრაჰირების იძულება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თითოეულ, პოტენციურად პასუხისმგებელ პირს შეუძლია, ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებით, დაიცვას თავისი ინტერესი და აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება ყოველგვარი იძულების გარეშე მიიღოს. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნებაყოფლობითი დაზღვევის შემთხვევაში, მოსახლეობის დიდი ნაწილი, თავს იკავებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისგან, რისი ნათელი მაგალითიცაა საქართველო. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სადაზღვევო ბაზრის 2020 წლის ექვს თვიანი მიმოხილვის თანახმად, საქართველოში ავტომობილების საერთო რაოდენობის შვიდი პროცენტია დაზღვეული. ამასთან, საყურადღებოა, რომ დაუზღვეველ პირთა უდიდეს ნაწილს ზიანის სრულად კომპენსაციის შესაძლებლობა არ აქვთ.

#### 2.2.4. კონტრაჰირების იძულების ლეგიტიმური მიზანი

მაინც რა არის ის ლეგიტიმური მიზანი, რაც მზღვეველის კონტრაჰირების იძულებას და ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვას კანონიერ ძალას ანიჭებს.

ნებისმიერი სახელმწიფო ღონისძიების გატარებისას, მათ შორის, სავალდებულო დაზღვევის შემოღებისასაც, სახელმწიფომ უნდა დაიცვას და მხედველობაში მიიღოს პროპორციულობის პრინციპი. კერძოდ, ხელშეკრულების დად-

ბის იძულების კოდიფიცირებისას, კანონმდებელმა უნდა მოახდინოს სამართლებრივი პასუხისმგებლობის შედეგების, განსაკუთრებით კი ეკონომიკური შედეგების, კომპენსირება. ამასთან ერთად, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ სოციალურ სახელმწიფოს არ აქვს უფლება აიძულოს მოქალაქე, თუნდაც თავის საკეთილდღეოდ, განახორციელოს რაიმე მოქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზღვევის ვალდებულების კოდიფიცირების ლეგიტიმურობა არ შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ზიანის მიმყენებლის ინტერესებითა და კეთილდღეობით. აუცილებელია არსებობდეს პოტენციურად დაზარალებული მხარის დაცვის განსაკუთრებული საჭიროება, რაც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვას ლეგიტიმურობას მიანიჭებს. სწორედ აქედან გამომდინარე, სადაზღვევო ვალდებულების ძირითადი მიზანი უნდა იყოს მსხვერპლის დაცვა. იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ზიანის მიმყენებლის დაცვა გაამართლებდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღებას, მაშინ ცხოვრების ყველა სფეროში, პასუხისმგებლობის მაღალი ალბათობის გათვალისწინებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევისთვის სამოქმედო არეალი აღარ დარჩებოდა. უფრო მეტიც, კანონმდებელი ვალდებული იქნებოდა ყველა მოქალაქისთვის შემოეღო სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა.

მართალია, თავად სავალდებულო დაზღვევის შესახებ ცალკეულ კანონთა ტექსტებით, დაზღვევის მიზნები არ არის გამყარებული, მაგრამ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში აღიარებულია, რომ სავალდებულო რეგულაციის შემოღებისას კანონმდებელს აქვს ორი მიზანი: პირველი, საკანონმდებლო რეგულაციის შემოღებით, იგი ახდენს კომპენსაციის თაობაზე დაზარალებულის მოთხოვნის უზრუნველყოფას<sup>11</sup> და მეორე, იცავს ზიანის მიმყენებელ პირს იმ ფინანსური ნწეხისგან, რომელიც მას დელიქტური/სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებისას

<sup>11</sup> უმრავლეს ევროპულ სახელმწიფოთა კანონმდებლობა, დაზარალებულს აძლევს უფლებას, დამზღვევის გაკოტრების შემთხვევაში, პირდაპირ მიმართოს

სამოქალაქო პასუხისმგებლობის მზღვეველ კომპანიას, სადაზღვევო ანაზღაურება გაკოტრების მასაში არ შედის.

ადგება. სავალდებულო დაზღვევას დაზარალებული მესამე პირებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს, მზღვეველი, კანონმდებლის მიერ დადგენილი მინიმალური ლიმიტის ფარგლებში, ყოველთვის არის ვალდებული აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი. ეს ვალდებულება მას აკისრია მაშინაც კი, როდესაც მზღვეველი, ზოგადი წესის თანახმად, დამზღვევის წინაშე პასუხისმგებლობისაგან თავისუფალია. მაგალითად, სკ-ის 829-ე მუხლის თანახმად, „მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისგან თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.“ ყველა სავალდებულო დაზღვევის მარეგულირებელი ნორმა ითვალისწინებს მზღვეველის ვალდებულებას ნებისმიერ შემთხვევაში აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი და ამის შემდეგ, რეგრესული მოთხოვნის უფლებით, დამზღვევისგან დაიბრუნოს გადახდილი თანხა. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ადგენს მზღვეველის უფლებას, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ, რეგრესის წესით მოთხოვნა დააყენოს ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიმართ, მათ შორის ისეთ შემთხვევაში, როდესაც მან სადაზღვევო შემთხვევა განზრახ გამოიწვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს, მზღვეველი, დაზარალებული მესამე პირის წინაშე, პასუხისმგებელია მაშინაც კი, როდესაც საერთო წესის მიხედვით, (ზიანის განზრახ გამოწვევა) იგი ანაზღაურებისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ზემოაღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ სავალდებულო დაზღვე-

ვისას ყურადღება გამახვილებულია, არა მხოლოდ დამზღვევის ინტერესის დაცვაზე, არამედ დაზარალებულის ინტერესზე. იგი უნდა გათავისუფლდეს იმგვარი საფრთხის რეალიზაციისგან, როგორცაა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობა დამზღვევის გადახდის უუნარობის შემთხვევაში. აღნიშნული მიზნები მკაფიოდ წარმოაჩენს დაზღვევის სოციალურ ფუნქციას, რაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის განსაკუთრებული, საყოველთაო და უნივერსალური დაცვის უზრუნველყოფაში ვლინდება.

ორივე მიზნის მკაფიო გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ სავალდებულო დაზღვევათა უდიდესი ნაწილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას ეხება.<sup>12</sup> იგი იცავს პოტენციურ დაზარალებულს (მსხვერპლის დაცვის ფუნქცია) კომპენსაციის გარეშე დარჩენისაგან. პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს დაზარალებულს მზღვეველის სახით, ფინანსურად სტაბილური მოვალე ჰყავს, რომლისგანაც ზიანის ანაზღაურების მეტი გარანტია გააჩნია. სკ-ის 839-ე მუხლის თანახმად, სწორედ “სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით არის მზღვეველი მოვალე გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო”. საქართველოს კანონმდებლობა, განსხვავებით მრავალი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობისაგან, პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევათა მცირე წრეს განსაზღვრავს. მათ მიეკუთვნება: ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევა,<sup>13</sup> აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის მიერ უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა,<sup>14</sup>

<sup>12</sup> *Looschelders/Pohlmann, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Aufl., 2011, § 1, Rn. 43.*

<sup>13</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №58 (17.03.2010), ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობებისა და

სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

<sup>14</sup> ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №12 (17.10.2016).

კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა,<sup>15</sup> მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა,<sup>16</sup> საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა,<sup>17</sup> სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>18</sup> ასევე, პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ევალება გადახდისუნარიობის პრაქტიკოსს.<sup>19</sup>

### 2.3. დასკვნა

თუ სავალდებულო დაზღვევას ევროპული ქვეყნების მაგალითზე განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, სავალდებულო დაზღვევის სიმრავლე, სახელმწიფოს განვითარების დონის პირდაპირ პროპორციულია. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ფრანგული სამართალი. აქ სადაზღვევო სამართალი სავალდებულო ნორმებით არის გაჯერებული და მიეკუთვნება ე. წ. *ordre public*-ს. შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი *liberte contractuelle*,<sup>20</sup> არსებითად შეზღუდულია. დღესდღეობით საფრანგეთში 120-

მდე სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს, განსაკუთრებით სხეულის დაზიანების კომპენსაციის უზრუნველსაყოფად.<sup>21</sup> ყველა სავალდებულო დაზღვევისთვის მოქმედებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მონონებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მოდელი, რომლის საწინააღმდეგო შეთანხმებაც ბათილია (*non écrite*).<sup>22</sup> ხელშეკრულების პირობათა იურიდიული ინტერპრეტაცია შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გათვალისწინებულია კანონით, გამონაკლისის სახით.<sup>23</sup> აღნიშნული გამონაკლისის დაშვება, როგორც წესი, ეხება მზღვეველისთვის ხელსაყრელ იურიდიულ ნორმებს, რომელთა მოქმედების არეალი შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს ხელშეკრულებით. მეორეს მხრივ, სამართლებრივ დანაწესთა დიდი ნაწილი არც დამზღვევის სასარგებლოდ არ არის ცვალებადი და იგი ინარჩუნებს იმ სახეს, რაც კანონმდებლის მიერ არის დადგენილი.

სავალდებულო დაზღვევის სიმრავლე გვხვდება სხვა სახელმწიფოებშიც. მაგალითად, პორტუგალიაში 70-ზე მეტი სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს. ათობით სხვადასხვა სავალდებულო დაზღვევას იცნობს ბელგია. გერმანიაში კი, 100-ზე მეტი სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს.<sup>24</sup>

<sup>15</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №118 (29.06.2009).

<sup>16</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №177 (29.03.2019).

<sup>17</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ (15.12.2017).

<sup>18</sup> საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №38 (27.09.2019).

<sup>19</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №696 (30.03.2021).

<sup>20</sup> საფრანგეთის დაზღვევის კოდექსი - Art. 1134 Code civil.

<sup>21</sup> საფრანგეთის სავალდებულო დაზღვევის შესახებ ვრცლად იხ. *Hedderich, Pflichtversicherung*, 2011, 43 ff. [https://books.google.ge/books/p/mohr\\_siebeck?id=IFWO U1uuSsgC&pg=PR10&source=gbs\\_selected\\_pages&ca d=1#v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books/p/mohr_siebeck?id=IFWO U1uuSsgC&pg=PR10&source=gbs_selected_pages&ca d=1#v=onepage&q&f=false)

<sup>22</sup> *Bruns, Privatversicherungsrecht*, Verl. C.H. Beck, München, 2015, § 35, Rn. 6.

<sup>23</sup> *Code des assurances* Art. L. 111-2 C. ass. <https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT00006073984/>

<sup>24</sup> ჯანმრთელობის დაზღვევა (*Krankenversicherung*), საზღვარგარეთ ყოფნის დროს ჯანმრთელობის დაზღვევა (*Auslandskrankenschutzversicherung*), სარისკო სიცოცხლის დაზღვევა (*Risikolebensversicherung*), ავტომობილის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (*Kfz-Haftpflichtversicherung*), მოტოციკლეტის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (*Motorrad-Haftpflichtversicherung*), სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა (*Private Haftpflichtversicherung*), საყოფაცხოვრებო დაზღვევა (*Hausratversicherung*), შენობის დაზღვევა (*Gebäudeversicherung*), პროფესიული უნარიანობის დაზღვევა (*Berufsunfähigkeitsversicherung*), იურიდიული ხარჯების დაზღვევა (*Rechtsschutzversicherung*), ცხოველის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის

სახელმწიფოების მიხედვით სავალდებულო დაზღვევის განსხვავებული გავრცელება იმაზე მიუთითებს, რომ სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოებები უბიძგებს ეროვნულ კანონმდებლობებს, კონკრეტული რისკის დასაფარად, შემოიღოს სავალდებულო დაზღვევა. პრაქტიკაში, სავალდებულო დაზღვევის შემოღებისას, კანონმდებლის მოქმედების თავისუფლება შემოფარგლულია მხოლოდ იმით, რომ საჭირო სავალდებულო დაცვა ხელმისაწვდომი იყოს ბაზარზე.<sup>25</sup> ეს როგორც

ნესი უპრობლემოა, როდესაც ესა თუ ის სადაზღვევო პროდუქტი, რომლის სავალდებულო დაზღვევასაც გეგმავს კანონმდებელი, ბაზარზე ნებაყოფლობითი დაზღვევის სახით უკვე არსებობს. თუ ამგვარად არ არის და არც სადაზღვევო ინდუსტრიას სურს სამომავლოდ უზრუნველყოს რისკის დაფარვა, რადგან თვლის, რომ მაგალითად, ტერორისტული აქტებით, სტიქიური უბედურებით, გენეტიკური ინჟინერიის ან ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად დამდგარი ზიანი მისთვის არადაზღვევადია, მაშინ სავალდებულო დაზღვევის შემოღება ვერ მოხდება.

დაზღვევა (Tierhalterhaftpflichtversicherung - განსხვავდება მინების მიხედვით და დამოკიდებულია ცხოველის ჯიშზე).

<sup>25</sup> *Looschelders/Pohlmann, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Aufl., 2011, § 113, Rn. 4.*

## არაპირდაპირი ზიანი, სარჩელის დასაშვებობა, ინდ. აქტის მიმართ კანონიერი ნდობა

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

### ფაბულა

2023 წლის ივნისში აღძრული სარჩელით მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს საკუთარი სახელით პირადად მისთვის, როგორც ფიზიკური პირისათვის, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომელიც, მისი აზრით, მიადგა მოპასუხე სააქციო საზოგადოების (შემდგომში: მოპასუხე) შვილობილის შვილობილი კომპანიის, კომპანია „ალფას“ (შემდგომში: „ალფა“), ქმედებების შედეგად. მოსარჩელის მტკიცებით, მას ზიანი მიადგა იპოთეკარი „ალფას“ მიერ, აუქციონის წესების დარღვევით სს „ბეტას“ (შემდგომში: „ბეტა“) აქტივების რეალიზაციის შედეგად, რამაც გამოიწვია ამ კომპანიის გაკოტრება და, საბოლოო ჯამში, ლიკვიდაცია. აღნიშნული რეალიზაცია განხორციელდა 2016 წელს.

მოსარჩელე მიიჩნევს, რადგან „ბეტა“ არის იმ შპს-ის („მოსარჩელის კომპანია“) შვილობილი, რომელშიც ჰქონდა 100%-იანი წილი მოსარჩელეს და მისმა გაკოტრებამ გააუფასურა ამ შვილობილ კომპანიაში წილის ღირებულება, ამით მას, როგორც „ბენეფიციარ მესაკუთრეს“ მიადგა ზიანი, რომელიც მოპასუხის კუთვნილი კომპანიების გავლით, საბოლოოდ, მოგების სახით, ამ მოპასუხესთან დაიღეჭა. „ალფას“ ქმედებების შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ ასევე მოპასუხის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსაც.



2020 წელს კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვებული გადაწყვეტილება, დავაზე (რომელიც 2016 წელსვე დაიწყო), მოსარჩელის კომპანიასა (მოსარჩელე მხარე) და მოპასუხის შვილობილსა და შვილობილის შვილობილ კომპანიებს (მეორე მხარე) შორის, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის კომპანიას არ ჰქონდა მოთხოვნები „ალფას“ მიმართ, იმ ქმედებებიდან

გამომდინარე, რომლებიც უკავშირდებოდა „ალფას“ მიერ „ბეტას“ კუთვნილი ქონების აუქციონზე რეალიზაციას. „მოსარჩელის კომპანიის“ მოთხოვნა სასამართლომ უარყო არა მხოლოდ იმის გამო, რომ მას, როგორც „ბეტას“ მხოლოდ პარტნიორს („ბეტაში“ წილის მფლობელს), არ მიაღდა პირდაპირი ზიანი, არამედ ასევე იმის გამო, რომ ვერ ამოიკითხა „ალფას“ ქმედებებში არამართლზომიერი ქმედების ნიშნები.

მოსარჩელე მოპასუხის წინააღმდეგ (რომელიც გერმანიაში დაარსებული კომპანიაა) 2019 წლიდან უკვე აწარმოებდა დავას, თუმცა გერმანულმა სასამართლომ მისი სარჩელი განუხილველად დატოვა ადვოკატის ხარჯების წინასწარი უზრუნველყოფის წარუდგენლობის გამო.

გარდა სამოქალაქო-სამართლებრივი სარჩელის შეტანისა, მოსარჩელემ 2022 წელს განცხადებით მიმართა „ეროვნულ მაკონტროლებელს“ („ალფას“ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიული პირს) და მოსთხოვა მას შეემონმებინა „ალფას“ ქმედებების მართლზომიერება, უფრო ზუსტად კი, იყო რა მოსარჩელე ამ ქმედებების არამართლზომიერებაში დარწმუნებული, „ეროვნული მაკონტროლებლისაგან“ ითხოვდა „ალფას“ წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელებას.

თავის მხრივ, „ალფა“, „ბეტას“ აქტივების რეალიზაციისას, მოქმედებდა „ეროვნული მაკონტროლებლის“ ნებართვით – ატყობინებდა მას ზუსტ ინფორმაციას, როგორც ამ პროცესის მიმდინარეობას, ასევე, შედეგებს და პერიოდულად იღებდა მისგან შესაბამის წერილობით „დასტურს“ განხორციელებული ქმედებების „სისწორესთან“ დაკავშირებით; მოგვიანებით, აწვდიდა მას წლიურ ანგარიშებს და იღებდა ქონების რეალიზაციიდან ამონაგების განკარგვასთან დაკავშირებულ მითითებებს.

*შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა! ქართული სასამართლოს განსჯადობა დადგენილია.*

## კაზუსის ამოხსნა

I. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.....	49
1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა.....	50
ა) არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა.....	50
ბ) მოპასუხისათვის „ალფას“ ქმედებების შერაცხვის შეუძლებლობა.....	51
2. მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან მოპასუხის წინააღმდეგ.....	52
II. სარჩელის უპერსპექტივობა.....	53
1. ხანდაზმულობა.....	53
2. სასარჩელო მოთხოვნების იდენტურობა.....	54
IV. „ეროვნული მაკონტროლებლისათვის“ მიმართვა.....	55
1. სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიის დაუშვებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.....	56
2. მოსარჩელე, როგორც არაუფლებამოსილი განმცხადებელი.....	56
3. „ალფას“ კანონიერი ნდობა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მოქმედებების მიმართ.....	57
ა) კანონიერი ნდობა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.....	57

ბ) კანონიერი ნდობა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და კონსულტაციის საფუძველზე.....	58
გ) „პასიური თმენა“ როგორც კანონიერი ნდობის განმაპირობებელი.....	59

### I. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

მოსარჩელის ფაქტობრივ მოთხოვნას, „ბეტას“ აქტივების ან მათი ღირებულების დაბრუნებასთან დაკავშირებით, სამართლებრივად შეიძლება შეესატყვისებოდეს დელიქტური ან სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ან უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი (კონდიქციური) მოთხოვნა. თუმცა, შესაძლებელია, იმ დაშვებითაც, რომ „ალფას“ მიერ „ბეტას“ აქტივების რეალიზაციით მისი მხრიდან ამ ხსენებული მოთხოვნების წინაპირობები შესრულდა



(მართლსაწინააღმდეგო ზიანის მიყენება, ვალდებულების დარღვევა, ქონებრივი სიკეთის უსაფუძვლოდ მოპოვება), ყველა ეს მოთხოვნა მხოლოდ „ბეტას“ ჰქონდეს, რომელიც ამჟამად უკვე ლიკვიდირებულია და შესაბამისად, ველარ იქნება სამართალურთიერთობის სუბიექტი და ველარ წარადგენს შესაბამის მოთხოვნებს,<sup>1</sup> ხოლო მოსარჩელე კი – არ არის შესაბამისი მოთხოვნების მფლობელი.

### 1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამო-რიცხვა

მოსარჩელის ზიანის ანაზღაურების დელიქტური მოთხოვნა მოპასუხის მიმართ შეიძლება გამოორიცხული იყოს იმ საფუძვლით, რომ მას პირდაპირი ზიანი არ მისდგომია, ხოლო არაპირდაპირი ზიანი კი არ არის ანაზღაურებადი. გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კონკრეტული პირის მიმართ არ არსებობს ასევე მაშინაც, როდესაც ზიანის უშუალო მიმყენებელი სხვა პირია, რომლის ქმედებაც არ შეერაცხება მოთხოვნის ადრესატს.

#### ა) არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების გამოორიცხვა

ვინაიდან, ფაბულის მიხედვით, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა, მოსარჩელის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ დელიქტიდან, უფრო ზუსტად კი, სკ-ის 992-ე მუხლიდან. თუმცა, ეს მოთხოვნა გამოორიცხული იქნება, თუ აქ არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებაა მოთხოვნილი.

დელიქტური პასუხისმგებლობის სტრუქტურა პირდაპირ გამოორიცხავს არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას. დელიქტურ სამართალში სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით ანაზღაურდება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგოდ მიყენებული

ზიანი, მართლსაწინააღმდეგობა კი მაშინ არის სახეზე, თუ მოხდა აბსოლუტური უფლების ხელყოფა, როგორც არის საკუთრება და სხვა საწინააღმდეგო უფლებები და ა. შ. ან დამცავი ნორმის დარღვევა ან განზრახ ამორალურად ზიანის მიყენება. ყველა სხვა შემთხვევაში ზიანი განეკუთვნება ე. წ. „სუფთა“ ქონებრივ ზიანს, რომელიც არ ანაზღაურდება.<sup>2</sup>

აქ აბსოლუტური სიკეთე ხელყოფილი არ არის. წილის ღირებულების შემცირება არ არის იდენტური წილიდან, როგორც უფლებებისა და ვალდებულებების ნაკრებიდან, გამომდინარე აბსოლუტური უფლებების ხელყოფისა. მესაკუთრეს ან წილის მფლობელს არ აქვს აბსოლუტური უფლება იმისა, რომ მისი უფლების ობიექტი ყოველთვის შეინარჩუნებს შესაბამის ღირებულებას. გაუფასურება წარმოადგენს ქონებრივ ზიანს, რომელიც მხოლოდ მაშინ იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო, თუ იარსებებდა დამცავი ნორმა, რაც აქ სახეზე არ არის.

ამგვარად, ე.წ. „ბენეფიციარ მესაკუთრეს“, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივად მესაკუთრე არ არის და არის მხოლოდ ეკონომიკური მოსარგებლე/ბენეფიციარი კომპანიის მოგებიდან, კომპანიისათვის ზიანის მიყენებით განიცდის მხოლოდ არაპირდაპირ ზიანს და ვერ ექნება ამ ზიანის მომყენებლის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა, მაშინაც კი, თუ „აღფას“ მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ექნებოდა ადგილი. უარყო რა სასამართლომ უკვე „მოსარჩელის კომპანიის“ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ამ არაპირდაპირობის მიზეზით, მით უფრო მოქმედებს ეს მოსარჩელის მიმართ, რომელიც ეკონომიკურ ბენეფიციართა ჯგუფში „მოსარჩელის კომპანიის“ შემდგომ მოდის და მით უფრო დაშორებულია პირდაპირ დაზიანებულ კომპანიას.

ამგვარად, მოსარჩელე აქ აპელირებს არაპირდაპირ ზიანზე, რომელიც პრინციპულად (ზოგადად) არაანაზღაურებადია.

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ერთადერთი შემთხვევა (90-ე მუხლი), როდესაც ლიკვიდაციის პროცესის განახლებაა შესაძლებელი, ამ შემთხვევაში არ გვაქვს სახეზე.

<sup>2</sup> რუსიაშვილი, არაპირდაპირ დაზიანებული პირის მოთხოვნა და მისი გამოორიცხვა (1-2 ნაწილები), შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2020, 45-51, შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2020, 26-36 და იქ მითითებული ლიტერატურა.

## ბ) მოპასუხისათვის „ალფას“ ქმედებების შერაცხვის შეუძლებლობა

გარდა იმისა, რომ მოსარჩელე აქ ითხოვს არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას (რაც არა-ანაზღაურებადია), მისი მოთხოვნა შეიძლება გამორიცხული იყო ასევე იმ საფუძველით, რომ დელიქტი ჩაიდინა სხვა პირმა („ალფამ“), რომლის ქმედებაც მოპასუხეს არ შეერაცხება.

ერთადერთი შესაძლებლობა, რომ მოპასუხემ, რომელსაც პირდაპირ არ განუხორციელებია არც ერთი ის ქმედება, რომლის გამოც „ბეტამ“ დაკარგა თავისი აქტივები, პასუხი აგოს ამ ქმედებებისათვის, არის მისთვის ამ ქმედებების შერაცხვა – მოპასუხეს უნდა შეერაცხებოდეს „ალფას“ მიერ განხორციელებული ქმედებები.

სამოქალაქო კოდექსში არის სამი ძირითადი დანაწესი, რომელიც ითვალისწინებს ერთი პირის მიერ განხორციელებული ზიანის მიმყენებელი ქმედებები შერაცხვას სხვა პირისათვის, ანუ იმას, რომ ერთმა პირმა, მეორე პირის მიერ გამოწვეული ზიანისათვის აგოს პასუხი. ეს ეხება იურიდიულ პირებსაც. მოცემული ნორმებია სკ-ის 37 I, 396-ე და 997-ე მუხლები. „ალფას“ ქმედებების მოპასუხისათვის შერაცხვა სკ-ის 396-ე მუხლის მიხედვით აქ თავიდანვე გამორიცხულია, რადგან „ალფა“ არ წარმოადგენდა მოპასუხის „შესრულების დამხმარეს“ (Erfüllungsgehilfe) ამ დანაწესის გაგებით.

რაც შეეხება შერაცხვას სკ-ის 37 I მუხლის მიხედვით, ამ დანაწესის თანახმად, იურიდიულ პირს ე. წ. „შიდა ორგანოების“ (მაგ., სამეთვალყურეო საბჭო), რომლებიც უშუალოდ არ ახორციელებენ წარმომადგენლობით-ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას, მიერ ჩადენილი ქმედება შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორგანო ან მისი წევრები, გამონაკლისის სახით, ახორციელებენ გარე ურთიერთობაში ეფექტის მქონე ქმედებებს (მაგ., იღებენ დადგენილებას, რომელიც მესამე პირის პატივს ხელყოფს და ამით აზიანებს მას).<sup>3</sup> მოპასუხის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ „ალფას“

მოქმედებების შესახებ ინფორმაციის ქონა საერთოდ ვერ ჩაითვლება ქმედებად (გამონაკლისი: შეტყობინების ვალდებულების არსებობა), მით უფრო ამგვარ, „გარე ურთიერთობაში ეფექტის მქონე“ ქმედებად.

საკამათო სასამართლო პრაქტიკის თანახმად<sup>4</sup>, კონცერნის შემთხვევაში, შვილობილი საზოგადოება, თეორიულად, შეიძლება ჩაითვალოს დედობილი კონცერნის მუშაკად. თუმცა ფაბულიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის „ალფას“ ქმედების შერაცხვა სკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მისი ორმაგი გამოყენებით. კერძოდ: თუ „ალფას“ დელიქტი შეერაცხებოდა მოპასუხის შვილობილ კომპანიას, ხოლო ამ შვილობილი კომპანიის დელიქტი შეერაცხებოდა თავად მოპასუხეს. მაგრამ თავად სკ-ის 997-ე მუხლი, უფრო ზუსტად კი, მისი მეორე წინადადება გამორიცხავს ამგვარი „ორმაგი შერაცხვის“ შესაძლებლობას. სკ-ის 997 2 მუხლის მიხედვით, პირველი წინადადებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება, ანუ, არ ხდება მუშაკის დელიქტის შერაცხვა, თუ საქმე ეხება ამ მუშაკის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას (მაგ., სკ-ის 999-ე და მომდევნო მუხლები). მაგრამ სკ-ის 997-ე მუხლი თავად არის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საფუძველი – მეპატრონე მუშაკის დელიქტისათვის პასუხს აგებს ბრალის გარეშე (უმნიშვნელოა, მიუძღვის თუ არა მეპატრონეს ბრალი მუშაკის შერჩევაში და ა. შ.). შესაბამისად, სკ-ის 997 2 მუხლი გამორიცხავს რა ბრალის გარეშე დელიქტის შერაცხვის შესაძლებლობას, გამორიცხავს, ასევე, თავად სკ-ის 997 1 მუხლის მიხედვით დაფუძნებული პასუხისმგებლობის მეპატრონის მეპატრონისათვის შერაცხვის შესაძლებლობას – სკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით მუშაკისათვის შერაცხული (მუშაკის) მუშაკის დელიქტი ვერ იქნება ის დელიქტი, რომელიც მეპატრონეს შეერაცხება სკ-ის 997 1 მუხლის მიხედვით.

ამგვარად, მოსარჩელეს მოპასუხის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვერ ექნება, პირველ რიგში, იმ მიზეზით, რომ ეს არის

<sup>3</sup> MüKoBGB/Leuschner, 8. Aufl. 2018, BGB § 31 Rn. 19.

<sup>4</sup> BGH GRUR 2012, 1279; OLG Düsseldorf GRUR-RR 2013, 274, იხ. საპირისპირო მოსაზრება: MüKoBGB/Wagner, 8. Aufl. 2020, BGB § 831 Rn. 17.

არაანაზღაურებადი არაპირდაპირი ზიანი და, გარდა ამისა, მას არ შეეცლება “ალფას” ქმედებები.

## 2. მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან მოპასუხის წინააღმდეგ

საკითხავია, შეუძლია თუ არა მოსარჩელეს მოპასუხისაგან მოითხოვოს მისი შვილობილის შვილობილი კომპანიის („ბეტას“) გაკოტრებით მიღებული შემოსავალი ხელყოფის კონდიქციით, სკ-ის 982 I მუხლი.

ხელყოფის კონდიქციის აუცილებელი წინაპირობაა ხელყოფის „სხვის ხარჯზე“<sup>5</sup> (კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე) განხორციელება, რა შემთხვევაშიც გადამწყვეტია არა ქმედება (და მისი მართლსაწინააღმდეგობა), არამედ ხელყოფილი სამართლებრივი პოზიცია, კერძოდ, მისი დაცვითი სფერო და ფარგლები: აკუთვნებს თუ არა მართლწესრიგი კონდიქციის კრედიტორს ამ (ხელყოფილ) სამართლებრივ პოზიციას ექსკლუზიური განკარგვა-გამოყენების უფლებით (ე.წ. მიკუთვნებული სამართლებრივი

სფეროს თეორია – *Zuweisungstheorie*).<sup>6</sup> ამ შემთხვევაში მთავარი კრიტერიუმებია: 1. აკუთვნებს თუ არა კანონი ამ პოზიციას კონდიქციის კრედიტორს (სანივთო (170 I) ან ვალდებულებითი ძალით); 2. ფლობს თუ არა კრედიტორი ამ პოზიციის გამოყენების, გასხვისების ან სხვა გზით სასყიდლის მიღების შესაძლებლობას (სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული რეალიზაციის შესაძლებლობა);<sup>7</sup> 3. აქვს თუ არა კრედიტორს უფლება მოსთხოვოს მოვალეს ხელშეშლის აღკვეთა;<sup>8</sup> 4. ამ კონკრეტული სამართლებრივი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა დელიქტური წესით.<sup>9</sup> ამგვარად, ხელყოფის კონდიქციით შეიძლება მხოლოდ იმ ქონებრივი სარგებლის უკუმოთხოვნა, რომელიც პირმა მოიპოვა სხვა პირის სამართლებრივი პოზიციის ხელყოფისა და ამ პოზიციის მისთვის მიკუთვნებული რეალიზაციის მონოპოლიის მითვისებით. აუცილებელია, რომ დაცული სამართლებრივი პოზიცია უფლებამოსილ პირს ანიჭებდეს მესამე პირთათვის მისი გამოყენების აკრძალვის შესაძლებლობას. მხოლოდ ნივთის მოპოვებისა და მოგების მიღების შანსი საკმარისი არ არის.<sup>10</sup>

<sup>5</sup> რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 71; BGHZ 94, 165; BGHZ 99, 390.

<sup>6</sup> რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 71; BGH NJW 1982, 1155; Lorenz, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 23; Medicus/Petersen, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 709.

<sup>7</sup> რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 71; Hüffer, Die Eingriffskondiktion, JuS 1981, 265; Larenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 1 d; Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 248; Reuter/Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 7 III 2 c, § 7 III 2 d.

<sup>8</sup> რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 72; Kleinheyder, Rechtsgutsverwendung und Bereicherungsausgleich, JZ 1970, 471.

<sup>9</sup> რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 72; Larenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 1 c.

<sup>10</sup> რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 72; BGHZ 107, 117: მაგალითად, დამქირავებელი შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე ქვექირავნობის ხელშეკრულების დადებით არ ხელყოფს დამქირავებლის სამართლებრივ პოზიციებს, არ აკარგვინებს მას ნივთის რეალიზაცია-გამოყენების რაიმე დამატებით შესაძლებლობას,

რომელიც უკვე არ ექნებოდა გაცემული ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში (Larenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 2 a; Lieb, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 266; Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 255) – მას აღარ ჰქონდა უკვე გაქირავებული საგნის კიდევ ერთხელ გაქირავების უფლება. არაუფლებამოსილი მესამე პირის მიერ დამქირავებლის ოთახებით სარგებლობის შემთხვევაში მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მხოლოდ დამქირავებელს და არა დამქირავებელ მესაკუთრეს (რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 97). ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტია ის გარემოება, თუ ვის აკუთვნებს მართლწესრიგი ქონებრივი პოზიციის რეალიზაციის უფლებას, რაც წარმოადგენს კონდიქციის კრედიტორის იდენტიფიცირების საშუალებას. თუ პირი იყენებს იმ ცოდნას, რომელიც არ არის დაცული სპეციალური საწარმოო უფლებებით, აღიარებულია შესაბამისი საჯარო პროცედურის დაცვით და ამგვარად გასაჯაროებული და ზოგადად ხელმისაწვდომია, სახეზე არ არის იმ პირისათვის მიკუთვნებული უფლების სფეროში ჩარევა, რომელმაც მოიპოვა ეს ცოდნა საკუთარი სამეცნიერო კვლევის ფარგლებში.<sup>10</sup> მხოლოდ ვალდებულებითი მოთხოვნის უფლება საგნის დაბრუნებასთან და გამოთხოვასთან დაკავშირებით არ აკუთვნებს ამ საგანს უფლებამოსილ პირს, რის გამოც ამ საგნის განკარგვა (რაც აკარგვინებს უფლებამოსილ პირს შესაბამის მოთხოვნას) არ წარმოადგენს ამ პირის ქონების ხელყოფას მისთვის მიკუთვნებულ სამართლებრივ პოზიციებში ჩარევის გზით (BGH NJW 1993, 1919).

აქ „ალფას“ „ბეტას“ აქტივების რეალიზაციით არ ხელუყვია მოსარჩელის არც ერთი აბსოლუტური თუ მასთან გათანაბრებული სიკეთე, რომელსაც მართლწესრიგი მას მიანიჭებდა „მიკუთვნიებული სამართლებრივი სფეროს“ გაგებით. „ბენეფიციარი მესაკუთრეობა“, რომელზეც აპელირებდა მოსარჩელე, სამოქალაქო სამართლის გაგებით, არ წარმოადგენს არც საკუთრებას და არც რაიმე სხვა ხელყოფაუნარიან პოზიციას, რომელშიც მეორე პირის მხრიდან ჩარევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეიძლება მიენიჭოს კონდიქცია. ბენეფიციარობა ეს არის მხოლოდ იმ ფაქტის კონსტანტაცია, რომ ერთი პირი მეორის ქონებიდან იღებს რაიმე სარგებელს – მაგალითად შვილი მამის ქონებიდან ალიმენტის სახით – თუმცა ეს მას საერთოდ არ ანიჭებს უფლებას, ამ ქონების შემცირების შემთხვევაში, მოსთხოვოს ამის გამომწვევ პირს რაიმე ტიპის კომპენსაცია, რადგან ეს უშუალოდ ქონების მფლობელის საქმეა და არა ამ არაპირდაპირად მოსარგებლის, რომლის (აბსოლუტური ან მათთან გათანაბრებული) უფლებებიც (რომელიც, აპრიორი ვერ ექნება მას ამ სხვა პირის ქონებაზე) ამ შემთხვევაში ხელყოფილი არ არის.

ამგვარად, მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი მოთხოვნა „ალფას“ წინააღმდეგ გამორიცხულია „მიკუთვნიებულ სამართლებრივ სფეროში“ ჩარევის არარსებობის გამო.

## II. სარჩელების უპერსპექტივობა

მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ, გარდა იმისა, რომ მისი მატერიალურ-სამართლებრივად დასაბუთება შეუძლებელია (იხ. ზემოთ), შეიძლება იყოს ხანდაზმული და, გარდა ამისა, წარმოადგენდეს *res iudicata*-ს (სასამართლოს მიერ უკვე განსჯილ საქმეს) და იყოს დაუშვებელი.

### 1. ხანდაზმულობა

მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ ამ ტიპის კონსტელაციაში დავის განახლება, საერთაშორისო კერძო სამართლის წესების მიხედვით,

ზოგადად და თეორიულად შეიძლება დასაშვებ იყოს, ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც გამორიცხულია.

პირველ რიგში, ქართული სამართლის მიხედვით (რომლის პრინციპებიც ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება), სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვება, მოსარჩელის მხრიდან უზრუნველყოფის წარუდგენლობის გამო, პროცესუალურად წარმოადგენს სარჩელის გატანის შემთხვევას.<sup>11</sup> ზოგადად, მოსარჩელეს სარჩელის გატანის შემდეგ, მხოლოდ მაშინ შეუძლია მისი თავიდან შემოტანა, თუ ეს გატანა არ განიმარტება სარჩელზე უარის თქმად.

მაშინაც, თუ ქართული სასამართლო ორივე ხსენებულ ბარიერს გადალახულად ჩათვლის, მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ შეიძლება ხანდაზმული იყოს. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხის წინააღმდეგ აყენებს დელიქტურ მოთხოვნას, რომლის ხანდაზმულობის ვადა სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით არის 3 წელი. აქ მოსარჩელე მისი დელიქტური მოთხოვნის დამფუძნებელ გარემოებებზე მიიჩნევდა „ალფას“ მიერ 2016 წელს განხორციელებულ ქმედებებს, რომლებმაც მას ზიანი მიაყენა. სკ-ის 130 I 2 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მას შემდეგ, რაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, თუმცა შეტყობის ქვეშ არ იგულისხმება მოთხოვნის დამფუძნებელი ქმედების დეტალების შეტყობა, არამედ ზოგადი ცოდნის მოპოვება ამ მოთხოვნის განმაპირობებელ გარემოებებთან დაკავშირებით. კონკრეტული დელიქტური მოთხოვნის შემთხვევაში ეს გულისხმობს მოსარჩელის მიერ იმ ფაქტის გაცნობიერებას (ან გაცნობიერების სავალდებულობას), რომ „ალფამ“ განახორციელა ქმედებები, რის შემდეგაც მოსარჩელის კომპანიის შვილობილმა კომპანიამ დაკარგა ქონება და თუნდაც ჰიპოთეტურად „ალფას“ ქმედებები შეიძლება არ ყოფილიყო მართლზომიერი.

ეს მოსარჩელეს, სულ მცირე, „უნდა სცოდნოდა“ დაუყოვნებლივ, „ალფას“ მხრიდან ამ ქმედებების განხორციელებისთანავე – შპს „ბეტას“ კუთვნილი ქონების აუქციონზე გატანისთანავე

<sup>11</sup> MüKoZPO/Schulz, 6. Aufl. 2020, ZPO § 110 Rn. 40.

– გამომდინარე იქიდან, რომ აუქციონის შესახებ დეტალები საჯარო იყო და 2016 წლიდან მოყოლებული „მოსარჩელის კომპანია“ აწარმოებდა სასამართლო დავას (რომლის შესახებაც, მოსარჩელესაც, როგორც პარტნიორს, უნდა სცოდნოდა). გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წელს უკვე თავად მოსარჩელემ დაიწყო დავა გერმანულ სასამართლოში ისე, რომ შუალედში (2016 წლის შემდეგ) მის მიერ რაიმე ახალი ცოდნის მოპოვების ფაქტი არ ჩანს, ის ცოდნა, რომელიც მას ჰქონდა 2016-სა და 2019 წლებში, საკმარისი იყო სარჩელის შეტანისთვის და ამავდროულად სრულებით საკმარისი იყო სკ-ის 130 I 2 მუხლის გაგებით „შეტყობის“ ფაქტის არსებობისათვის.

ამგვარად, მოსარჩელის დელიქტური მოთხოვნისათვის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2016 წლიდან და 2023 წლისათვის ის ნებისმიერ შემთხვევაში ხანდაზმულია.

გერმანულ სასამართლოში სარჩელის შეტანით მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა. მართალია, უცხოური სასამართლოს წინაშე სარჩელის წარდგენამ შეიძლება შეაჩეროს ასევე ნაციონალური სამართლის მიხედვით მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა (თუ ეს უცხოური სასამართლო პირდაპირ და ცალსახად არ არის არაგანსჯადი), თუმცა გერმანულმა სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა, რა შემთხვევაშიც, სკ-ის 140 I მუხლის მიხედვით, სარჩელის შეტანა არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს ხანდაზმულობის ვადის დენაზე. ამ ვადის დენა გრძელდება შეუწყვეტლად. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილი პირი სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6 თვეში შეიტანს ახალ სარჩელს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან (სკ-ის 140 II მუხლი). მოსარჩელეს ეს აქ არ გაუკეთებია. შესაბამისად, მას სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გამოუსწორებლად აქვს გაშვებული.

## 2. სასარჩელო მოთხოვნების იდენტურობა

სსკ-ის 272 ბ) მუხლის მიხედვით, სასამართლო არ მიიღებს წარმოებაში ან მიღების შემთხ-

ვევაში შეწყვეტს წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით (*res iudicata* – „ერთხელ განსჯილი საქმის განმეორებით განსჯის აკრძალვა“, *ne bis in idem*-პრინციპი).

მოცემულ შემთხვევაში, უკვე კანონიერ ძალაშია შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს, რომ „ალფას“ ქმედებებში არც მართლწინააღმდეგობა (დელიქტური მოთხოვნის აუცილებელი წინაპირობა) და არც ვალდებულების დარღვევა (სახელშეკრულებო მოთხოვნის აუცილებელი წინაპირობა) არ იკითხებოდა. კერძოდ: ფაბულის თანახმად, 2020 წლამდე მიმდინარეობდა დავა „მოსარჩელის კომპანიასა“ (კომპანია, რომელშიც აქვს წილი მოსარჩელეს) და „ალფას“ შორის. ამ დავაზე სასამართლომ დაადგინა, რომ „მოსარჩელის კომპანიას“ არ ჰქონდა მოთხოვნა „ალფას“ მიმართ, იმ ქმედებებიდან გამომდინარე, რომლებიც უკავშირდებოდა „ალფას“ მიერ „მოსარჩელის კომპანიის“ კუთვნილი კომპანიის „ბეტას“ აქტივების რეალიზაციას აუქციონზე. „მოსარჩელის კომპანიის“ მოთხოვნა სასამართლომ უარყო არა მხოლოდ იმის გამო, რომ მას, როგორც „ბეტას“ დედობილის პარტნიორს, არ მიადგა პირდაპირი ზიანი (იხ. ზემოთ), არამედ ასევე იმის გამო, რომ ვერ ამოიკითხა „ალფას“ ქმედებებში არამართლზომიერების ნიშნები. ანუ, ამგვარად, დავა იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა „ალფას“ მიერ „ბეტას“ ქონების რეალიზაცია არამართლზომიერი უკვე გადაწყვეტილია და დადგენილია, რომ არამართლზომიერ ქმედებას ადგილი არ ჰქონია და გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ერთი შეხედვით, დავა, რომლის პერსპექტივასაც აყენებს მოსარჩელე, იქნება არა იმავე სუბიექტებს შორის („მოსარჩელის კომპანია“ vs „ალფა“), არამედ ყოფილი მოსარჩელე კომპანიის დედობილსა და მოპასუხის დედობილის დედობილ კომპანიას შორის. თუმცა, სამართლებრივად ეს განსხვავება უმნიშვნელოა და აქ მაინც დავის საგნის იდენტურობა გვაქვს სახეზე. კერძოდ, მოსარჩელე მოპასუხის მიმართ ჩივილს აპირებს არა „საკუთარი უფლებებიდან“, ანუ, არა

უშუალოდ მისთვის მიყენებული ზიანის გამო, არამედ, იმის გამო, რომ „ალფამ“ ზიანი მიაყენა კომპანიას, რომელშიც ის მონაწილეობდა და ამ კომპანიის დაზიანების გავლით ზიანი მიაღწა ასევე მოსარჩელეს. იგივე სიტუაციაა მეორე მხარესაც: მოპასუხის პასუხისმგებლობას ის ამყარებს არა უშუალოდ მოპასუხის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, არამედ „ალფას“ ქმედებებს, რომელიც, მისი აზრით, შეერაცხება მოპასუხეს. ამ სარჩელის შემთხვევაში რეალურად არ გვექნება სახეზე სუბიექტთა ცვლილება „მოსარჩელის კომპანიასა“ და „ალფას“ შორის დავასთან შედარებით, ზუსტად ისევე, როგორც სუბიექტთა მხოლოდ ფორმალური ცვლილებით შეუძლებელია სსკ-ის 272 ბ) მუხლით დადგენილი ბარიერის გადალახვა. მაგალითად, ქართული სასამართლოს მყარად დადგენილი და სწორი პრაქტიკაა, რომ თუ მოსარჩელე მოპასუხის მიმართ დავის წაგების შემდეგ მოთხოვნას დაუთმობს სხვა პირს, ამ სხვა პირსა და მოპასუხეს შორის დავაც *res iudicata*-ს წარმოადგენს და სასამართლომ ის არ უნდა მიიღოს წარმოებაში. ზუსტად ასევეა მოსარჩელესთან ერთად, ასევე მხოლოდ ფორმალურად, მოპასუხეც რომ შეიცვალოს, მაგალითად, სადავო უფლება თავდაპირველი მოპასუხისაგან მის მემკვიდრეზე გადავიდეს. ამ შემთხვევაში სახეზეა არა ახალი დავა, ახალ სუბიექტებს შორის, არამედ თავდაპირველი სუბიექტების უფლებიდან ნაწარმოები დავა და თუ სასამართლოს უკვე დადგენილი აქვს, რომ ეს უფლება არ არსებობს, მასზე თავიდან აღარ უნდა იმსჯელოს – მხოლოდ ამ სუბიექტთა ფორმალური ცვლილება ამ უფლებას „ვერ გააცოცხლებს“. დავა არის უკვე გადაწყვეტილი. ზუსტად იგივე სიტუაცია გვაქვს ამ შემთხვევაშიც: ქართულმა სასამართლომ უკვე უარყოფითი პასუხი გასცა იმ შეკითხვას, მიაყენა თუ არა „ალფამ“ „მოსარჩელის კომპანიას“ არამართლზომიერად ზიანი. „მოსარჩელის კომპანიის“ უფლებიდან ნაწარმოებ უფლებაზე დაყრდნობით მოსარჩელე ველარ იდავებს „ალფას“ დედობი-

ლის დედობილი კომპანიის წინააღმდეგ (რომელსაც ველარ შეერაცხება ის ქმედება, რომელიც, როგორც დადგინდა, „ალფას“ არ ჩაუდენია), რადგან ეს არის იგივე დავა, იმავე საფუძვლით და მხარეთა ცვლილება არის მხოლოდ ფორმალური.

მაშინაც კი, თუ „მოსარჩელის კომპანიასა“ და „ალფას“ შორის დავაში, სასამართლოს, პირდაპირ არ უხსენებია კონდიქციური მოთხოვნები და ექსპლიციტურად არ გამოურიცხავს ისინი, ეს მოთხოვნები მაინც გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. გამომდინარე იქიდან, რომ „მოსარჩელის კომპანია“ ითხოვდა „ალფასაგან“ ფულად ანაზღაურებას მისი სავარაუდო უფლების ხელყოფის გამო და ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იმსჯელოს ასევე უსაფუძვლო გამდიდრებისმიერ მოთხოვნაზე, კერძოდ, ხელყოფის კონდიქციაზე (სკ-ის 982-ე მუხლი), რადგან ეს წარმოადგენს სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხს და სასამართლომ მოსარჩელის ფაქტობრივი მოთხოვნა უნდა მოათავსოს ასევე ამ სამართლებრივ პრიზმაში.<sup>12</sup> ის ფაქტი, რომ სასამართლომ არც ერთი სიტყვით არ ახსენა ეს მოთხოვნა, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მან თავიდანვე გამორიცხა ის და სწორედ ეს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, რის გამოც ეს სასამართლოს მსჯელობის საგანი თავიდან ველარ გახდება.

ამგვარად, როგორც უკვე აღინიშნა, დავა იმ უფლებასთან დაკავშირებით, რომლის კიდევ ერთხელ სადავოდ ქცევასაც აპირებს მოსარჩელე, უკვე გადაწყვეტილია და ის სასამართლოს მსჯელობის საგანი ხელმეორედ ველარ გახდება.

#### IV. „ეროვნული მაკონტოლებლისათვის“ მიმართვა

მოსარჩელემ 2022 წელს განცხადებით მიმართა „ეროვნულ მაკონტოლებელს“ და მოითხოვა, „ალფას“ წინააღმდეგ სადამსჯელო ღონი-

<sup>12</sup> იხ. სარჩელის საგანთან დაკავშირებით: რუსიაშვილი, კაზუსი: „შპს მომარჯვებული ისარი“, შედარებითი სასამართლის ჟურნალი 5/2021, 68-ე და მომდევნო გვერდები.

სძიებების განხორციელება, რადგან ამ უკანასკნელის ქმედებებს არამართლზომიერად მიიჩნევა.

მოსარჩელის აღნიშნული მიმართვა წარმოადგენს მოქალაქის მიმართვას ადმინისტრაციული ორგანოსადმი და უნდა განისაჯოს ადმინისტრაციული სამართლის წესების მიხედვით და შესაბამისი მასშტაბით. „ეროვნული მაკონტროლებელი“ ამ შემთხვევაში არის ადმინისტრაციული ორგანო ზაკ-ის 2 | ა) მუხლის გაგებით, კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-მმართველობით უფლებამოსილებას.

### 1. სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიის დაუშვებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან

მოსარჩელე ზემოაღნიშნული განცხადებით „ეროვნულ მაკონტროლებელს“ სთხოვს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების რევიზიას. კერძოდ, ის ამტკიცებს, რომ „ალფამ“ თავისი არამართლზომიერი მოქმედებით ზიანი მიაყენა „ბეტას“, რომელიც ანასხლეტი ზიანის სახით აისახა „მოსარჩელის კომპანიასზე“, როგორც მის პარტნიორზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ამ კომპანიის პარტნიორის (საბოლოო ბენეფიციარის), მოსარჩელის, დაზიანება. თუმცა სასამართლომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთხელ უკვე იმსჯელა „ალფას“ ამ ქმედებების შესახებ და ვერ ამოიკითხა მასში მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თავად პირველადი შემხებლობის მქონე პირის, „ბეტას“, მიმართ. სასამართლომ დაადგინა, რომ „ალფას“ ქმედებები არ იყო მართლსაწინააღმდეგო „მოსარჩელის კომპანიის“ მიმართ. შემდგომი აქტორის (ბენეფიციარის) მიმართ ეს ქმედებები, რომლებიც არ არის მართლსაწინააღმდეგო თავად „ბეტას“ მიმართ, ვერ იქნება დამოუკიდებლად მართლსაწინააღმდეგო. ამიტომაც, როდესაც მოსარჩელე „ეროვნული მაკონტროლებლისაგან“ ითხოვს „ალფას“ ქმედებების მართლზომიერების შემოწმებას, ის ამით რეალურად სთხოვს ადმინისტრაციულ ორგანოს, გადაამოწმოს და რევიზია გაუკეთოს სასამართლოს კანონიერ ძალაში

შესულ გადაწყვეტილებას, რაც ეწინააღმდეგება ამ ორგანოს ფუნქციას, საკონსტიტუციო მოწყობის პრინციპებს და დაუშვებელია.

მაშინაც კი, თუ მოსარჩელე მიუთითებდა იმაზე, რომ გარკვეული გარემოებების შესახებ ინფორმაცია მისთვის მხოლოდ ეხლა გახდა ცნობილი (რაც ფაბულიდან არ იკითხება), ეს ამ მოცემულობაში ვერაფერს შეცვლიდა, რადგან ამ ფაქტებზე დაყრდნობით მან ჯერ სასამართლოს უნდა მიმართოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება, სასამართლოს გარეშე, „ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე“ დაყრდნობით ამ გადაწყვეტილების რევიზია.

### 2. მოსარჩელე, როგორც არაუფლებამოსილი განმცხადებელი

ზაკ-ის 76 | ა) მუხლის მიხედვით, განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ ეს განცხადება წარადგინოს დაინტერესებულმა პირმა. ყველას არ აქვს უფლება განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე კოდექსის 2 | ბ) მუხლის მიხედვით კი, დაინტერესებულ პირად ითვლება პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

აქ მოსარჩელე აპელირებს მისი სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებების ხელყოფაზე „ალფას“ მხრიდან, რასაც, როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა, ადგილი არ ჰქონია და ეს დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. თუმცა, თეორიულადაც რომ დავუშვათ მოსარჩელის მოთხოვნის არსებობა „ალფას“ წინააღმდეგ, „ეროვნული მაკონტროლებელი“ მოსარჩელეს ამ სამოქალაქო-სამართლებრივი უფლების აღდგენაში ვერ დაეხმარება, რადგან ეს სასამართლოს ფუნქციაა, ხოლო სასამართლოსაკენ გზა კი მოსარჩელეს ჩაკეტილი აქვს (იხ. ზემოთ). ამიტომაც, „ეროვნული მაკონტროლებლის“ მიერ მიღებული ვერც ერთი აქტი ვერ იქნება მოსარჩელის სამოქალაქო-სამართლებრივ მდგომარეობაზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენის მქონე და, შესაბამისად, მოსარჩელე ვერ ჩაითვლება

დაინტერესებულ პირად, რომლის განცხადების საფუძველზეც უნდა წამოიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ეროვნული მაკონტროლებელმა“.

### 3. „ალფას“ კანონიერი ნდობა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მოქმედებების მიმართ

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების მიმართ ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს კანონიერი ნდობა, რომელიც გამორიცხავს ამ მოქმედებების უკუქცევისა და ორგანოს მხრიდან საპირისპიროს განხორციელების შესაძლებლობას, მაშინაც კი, როდესაც ორგანოს ეს ქმედება თუ არსებული მდგომარეობა კანონსაწინააღმდეგო იყო. პირველ რიგში, ეს ეხება ადმინისტრაციულ აქტებს და სწორედ ეს შემთხვევაა კანონში მონესრიგებული, კერძოდ, ზაკ-ის 60<sup>1</sup> IV, V მუხლში. თუმცა კანონიერი ნდობა შეიძლება არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ასევე სხვა მოქმედების თუ უმოქმედობის მიმართაც.

#### ა) კანონიერი ნდობა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ

ზაკ-ის 60<sup>1</sup> IV მუხლის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა, დაუშვებელია მისი ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.<sup>13</sup> გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. მოცემული მუხლის შემდეგ ნაწილში განმარტებულია კანონიერი ნდობის შინაარსი: კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც მან ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და ამ უკანონო აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. მაშინაც კი, როდესაც კანონსაწინააღმდეგო აქტის ძალაში დატოვებით საფრთხე ექმნება სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, მხარეს, რომელსაც ჰქონდა კანონიერი ნდობა ამ აქტის მიმართ, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა აუნაზღაუროს ამ ბათილად ცნობით მიყენებული ზიანი (ზაკ-ის 60<sup>1</sup> VI მუხლი, ნდობის დაცვის ჩანაცვლება ქონების დაცვით).

მოცემული ნორმები და ზემოთ აღწერილი რეგულატორული რეჟიმი აქტუალურია მოცემულ შემთხვევაშიც, რადგან „ალფა“ „ბეტას“ ქონების რეალიზაციას ახორციელებდა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მეთვალყურეობის ქვეშ. ამ პროცესის განმავლობაში პერიოდულად აწვდიდა მას შესაბამის ინფორმაციას და იღებდა მისგან შესაბამის ნებართვებს. ყველა ეს ნებართვა წარმოადგენდა აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც არ შეიძლება გაბათილდეს, პირველ რიგში, იმის გამო, რომ „ალფას“ გააჩნდა კანონიერი ნდობა მათ მიმართ – ამ ნდობიდან გამომდინარე განახორციელა ქონებრივი მნიშვნელობის მოქმედებები და ამ აქტების ძალაში დატოვებით სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა პირის (განმცხადებლის) კანონისმიერი უფლებებისა და ინტერესისათვის საფრთხის შექმნა არ იკითხება (ზაკ-ის 60<sup>1</sup> V). როგორც ზემოთ აღინიშნა, ის დანაკარგები, რომლებზეც მოსარჩელე აპელირებს, საერთოდ არ არის ანაზღაურებადი (იხ. ზემოთ) და ამის გამო ის ვერც ჩაითვლება „ხელყოფილ კანონისმიერ უფლებებზე და ინტერესებზე“ მოცემული დანაწესის გაგებით. გარდა ამისა, სასამართლოს თავისი გადაწყვეტილება არ მიუღია „ეროვნული მაკონტროლებლის“ აქტების საფუძველზე და მათი გაუქმება ვერ იქნება გადაწყვეტილების გადახედ-

<sup>13</sup> იხ. Martini, Die Aufhebung von Verwaltungsakten nach §§ VwVfG § 48 ff. VwVfG – Vertrauensschutz bei der Rücknahme (§ VwVfG § 48 VwVfG § 48 Absatz II, VwVfG § 48 Absatz III VwVfG), JA 2016, 832; OVG

Münster NVwZ-RR 2013, 252; VGH Mannheim VBIBW 3018, 36.



ვის საფუძველი, შესაბამისად, მოსარჩელის მდგომარეობა არ იცვლება იმისდა მიხედვით, „ეროვნული მაკონტროლებელი“ თავის ამ აქტებს გააუქმებს თუ არა.

რაც შეეხება ზაკ-ის 60<sup>1</sup> V 2 მუხლში ნახსენებ კანონიერი ნდობის გამორიცხვას (როდესაც კანონიერი ნდობა არ მოქმედებს), „უკანონო ქმედების“ ქვეშ იგულისხმება აქტით აღჭურვილი პირის უკანონო ქმედება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ (მაგ., ყალბი ცნობების მიწოდება „ეროვნული მაკონტროლებლისათვის“), რაც ფაბულიდან არ იკითხება და რაზეც საერთოდ ვერ აპელირებს მოსარჩელე. უშუალოდ მოსარჩელის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედება (ჰიპოთეტური დაშვების შემთხვევაშიც კი) ვერ გახდება „ეროვნული მაკონტროლებლის“ მიერ გამოცემული ინდ. აქტის გაბათილების საფუძველი, რადგან ზემოთ ხსენებულ დანაწესში იგულისხმება უკანონო ქმედება, აღჭურვილსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობაში, რაც სახეზე არ ყოფილა.

### **ბ) კანონიერი ნდობა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და კონსულტაციის საფუძველზე**

კანონიერი ნდობა არსებობს და უკავშირდება არა მხოლოდ ინდ. აქტს, არამედ ასევე ადმინისტრაციული ორგანოს სხვა ქმედებასაც, როგორც არის, მაგალითად, ორგანოს მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია, განეული კონსულტაცია თუ განგრძობადი უმოქმედობა გარკვეულ კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობასთან მიმართებით. თუ ადმინისტრაციული ორგანოს ამ ქმედებას პირი მიენდობა, განახორციელებს გარკვეულ ქონებრივ მოქმედებებს/ინვესტიციებს მასზე დაყრდნობით, ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება ჩამოერთვას უფლება, შეცვალოს ეს მდგომარეობა საპირისპირო ქმედების განხორციელების გზით.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია პირს მიანოდოს სრული, ცალსახა და სწორი ინფორმაცია, რათა ამ ინფორმაციის მიმღებმა მოახერხოს საკუთარი სამომავლო მოქმედებების ამის მიხედვით დაგეგმვა.<sup>14</sup> თუმცა, ჩვეულებრივ, თუ პირი ახორციელებს ქონებრივ თუ სხვა მნიშვნელოვან დისპოზიციებსა და დაგეგმარებას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიწოდებულ არასწორ ინფორმაციასა თუ კონსულტაციაზე დაყრდნობით, არ ხდება ამ კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის შენარჩუნება, არამედ, ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კანონიერი ნდობის მქონე პირის მიმართ (ქონების დაცვა)<sup>15</sup> – შესაბამისი პირი ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, ეს ინფორმაცია თუ კონსულტაცია საერთოდ რომ არ გაეცა და არა ისეთ მდგომარეობაში ეს ინფორმაცია სწორი რომ ყოფილიყო.<sup>16</sup> ზიანის ანაზღაურების ეს ვალდებულება წარმოიშობა მაშინაც, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო საერთოდ არ იყო ვალდებული გაეცა შესაბამისი ინფორმაცია.<sup>17</sup> თუმცა, მაგალითად, გერმანიაში, საჯარო სამართლის ცალკეულ სფეროებში, მაგალითად, როგორცაა სოციალური სამართალი, აღიარებულია ე. წ. სოციალურ-სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის/რესტიტუციის მოთხოვნა:<sup>18</sup> გაურკვეველი და დაუხვეწავი სამართლებრივი რეგულაციების პირობებში, როდესაც მოქალაქეს სამართლებრივად გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ამასთან დაკავშირებით კვალიფიციურ რჩევას მიიღებს, აქ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ჩააყენოს პირი, რომელსაც მანამდე არასწორი კონსულტაცია გაუწია, ისეთ მდგომარეობაში, ეს კონსულტაცია სწორი რომ ყოფილიყო.<sup>19</sup> იგივე უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არასწო-

<sup>14</sup> BGH NJW 1991, 3027; BGH NJW 1990, 1042.

<sup>15</sup> OLG Zweibrücken NVwZ-RR 2001, 79.

<sup>16</sup> BVerwG NVwZ 2016, 248.

<sup>17</sup> OLG Karlsruhe NZS 2013, 381; BGH NJW 2019, 68; BGH NVwZ-RR 2021, 671; VGH Kassel NVwZ-RR 2015, 779.

<sup>18</sup> Ehlers/Vorbeck, Der Anspruch auf Erteilung von Verwaltungsinformationen – Teil 2, Jura 2015, 44.

<sup>19</sup> BSG NZS 2005, 40.

რი რჩევის საფუძველზე გააშვებინებს მოქალაქეს შესაბამისი განცხადების წარდგენის ვადას.<sup>20</sup>

მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ „ალფას“ ჰქონდა მუდმივი კონტაქტი და ინფორმაციის მიმოცვლა „ეროვნულ მაკონტროლებელთან“, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო „ბეტას“ აქტივების რეალიზაცია, მხოლოდ ეს ინფორმაცია (დამოუკიდებლად ზემოთ ხსენებული ადმინისტრაციული აქტების მიმართ ნდობისგან), რომელიც სრულად გაითვალისწინა „ალფამ“, უნდა იყოს საფუძველი ამ უკანასკნელის კანონიერი ნდობის დაცვისათვის, რის გამოც „ეროვნული მაკონტროლებელი“ შებოჭილია და ვერ განახორციელებს მის მიმართ არსებული მდგომარეობის შემცვლელ ღონისძიებებს.

### გ) „პასიური თმენა“ როგორც კანონიერი ნდობის განმაპირობებელი

ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა<sup>21</sup>, ანუ, კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის პასიური თმენა, წარმოუშობს ამ თმენის შედეგად ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებულ პირს ნდობას (მოლოდინს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალშიც პასიური დარჩება და არ მიიღებს ზომებს ამ კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის აღსაკვეთად), თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მართლსაწინააღმდეგო მდგომარეობის მხოლოდ პასიურ თმენას გარკვეული ქმედებებიც მიამატა, საიდანაც შესაბამის პირს შეიძლება გაეკეთებინა დასკვნა, რომ ორგანო საერთოდ არ აპირებდა გააქტიურებას. მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანო გასცემს უკანონოდ აშენებულ შენობაზე მიშენების ნებართვას, ამით ის აფუძნებს ვარაუდს, რომ მთლიანი შენობა სამშენებლო სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია, რის შემდეგაც მისი დემონტაჟის განკარგულების გამოცემის უფლება

უკვე აღარ აქვს.<sup>22</sup> ზუსტად ასევე ადმინისტრაციულ ორგანოს აღარ აქვს კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის აღმოფხვრის უფლება, თუ რაიმე ფორმით გაახმოვანა, რომ არ აპირებდა ჩარევას (მაშინაც კი, როდესაც სახეზე არ არის მისი ფორმალური დაპირება).<sup>23</sup> ამ შემთხვევაშიც კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის შენარჩუნებაზე მინდობილი პირის კანონიერი ნდობა გადაწონის მისი აღმოფხვრის საჯარო თუ კერძო ინტერესს.

ყველა ეს ასპექტი გასათვალისწინებელია „ალფასა“ და „ეროვნულ მაკონტროლებელს“ შორის ურთიერთობაში. 2016 წელს „ალფას“ მიერ „ბეტას“ ქონების რეალიზაციის შემდეგ „ეროვნულმა მაკონტროლებელმა“ არაერთხელ დააფიქსირა, რომ მისთვის ეს მოქმედებები და მდგომარეობა სრულებით მისაღები იყო, იქნებოდა ეს „ალფას“ წლიური ანგარიშების (რომელიც, ამ რეალიზაციის შედეგად მიღებულ ამონაგებსაც მოიცავდა და ცალკე აფიქსირებდა) გაუპროტესტებლად მიღება, ამ რეალიზაციიდან ამონაგების განკარგვასთან დაკავშირებით მითითებების გაცემა და ა. შ., ყოველივე აღნიშნული განაპირობებდა „ალფას“ კანონიერ ნდობას, რის გამოც „ეროვნული მაკონტროლებელი“ მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს არსებული მდგომარეობა ან ზემოთ ხსენებული ქმედებებიდან გამომდინარე რაიმე ტიპის სანქციები განიხილოს „ალფას“ მიმართ (იმ ჰიპოთეტური დაშვების პირობებშიც კი, რომ „ალფას“ ქმედებები შეიძლება არ ყოფილიყო სრულებით მართლზომიერი, რაც ასე არ არის).

ამგვარად, მოსარჩელის მოთხოვნის საპასუხოდ, რომ „ეროვნულმა მაკონტროლებელმა“ გარკვეული ზომები მიიღოს „ალფას“ წინააღმდეგ, შეიძლება ითქვას შემდეგი: 1. მოსარჩელე არ არის დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული სამართლის გაგებით, რომელსაც ექნებოდა უფლება ამ განცხადებით მიემართა „ეროვნული მაკონტროლებლისათვის“; 2. ის „ეროვნულ მა-

<sup>20</sup> BVerwG NJW 2012, 168.

<sup>21</sup> შდრ. OVG Münster NVwZ-RR 2009, 364, 366 ff.; VGH Mannheim ZUR 2008, 430, 432; OVG Münster NVwZ NVwZ-RR 2016, 851; *Beaucamp*, Duldungsentscheidungen im Verwaltungsrecht, DÖV

2016, 803 f.; *Sommer*, Zur behördlichen Duldung im öffentlichen Baurecht, JA 2017, 567 ff.

<sup>22</sup> OVG NVwZ-RR 2012, 751.

<sup>23</sup> BVerfG NVwZ 2005, 203; OVG Koblenz, 8 A 11031/06.OVG v. 26.9.2006; OVG Koblenz BauR 2012, 630.

კონტროლებელს” სთხოვს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების რევიზიას, რისი უფლება „ეროვნულ მაკონტროლებელს” არ აქვს; 3. „ალფას” აქვს „ეროვნული მაკონტროლებლის” ქმედებებიდან გამომდინარე კანონიერი ნდობა არსებული სტატუს-კვოს შე-

ნარჩუნების მიმართ, რაც ზემოთ ხსენებულისგან დამოუკიდებლად, თავისთავად გამორიცხავს „ეროვნული მაკონტროლებლის” მხრიდან რაიმე ფორმით არსებული მდგომარეობის შეცვლის შესაძლებლობას.

## Nelson v. Lewis

ილინოისის სააპელაციო სასამართლო, მეხუთე რაიონი

3 მარტი, 1976

No: 75-432

### გადაწყვეტილებათა კრებული

36 Ill. App. 3d 130; 344 N.E.2d 268; 1976 Ill. App.

JO ANN NELSON, არასრულწლოვანი, წარმოდგენილი მამის Eric D. Nelson-ის მიერ, მოსარჩელე-აპელანტი v. GEORGE N. LEWIS, მოპასუხე-მონინააღმდეგე მხარე

### პროცედურული ისტორია:

გასაჩივრებულთა სენტ-კლარის ოლქის რაიონული სასამართლოს მომხსენებელი მოსამართლის, ROBERT L. GAGEN-ის გადაწყვეტილება.

### დისპოზიცია:

ქვემო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა ძალაში

### წარმომადგენლები:

აპელანტის წარმომადგენლები -Fleming & Fleming, of O'Fallon,

მოპასუხის წარმომადგენლები - Vincent J. Hatch, of Brady, Donovan & Hatch, of Belleville.

### მოსამართლეები:

სასამართლო შემადგენლობა - მომხსენებელი მოსამართლე USTICE KARNIS. JONES და G. J. MORAN, JJ.

### გადაწყვეტილება

მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა ილინოისის „ძალის კბენის“ ნორმის (Ill. Rev. Stat. 1973, თავი 8, პარაგრაფი 366) საფუძველზე მოპასუხის ძალის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის. მოსარჩელემ გაასაჩივრა მოპასუხის

სასარგებლოდ მიღებული ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება-ვერდიქტი.

დაზიანების მიყენების დღეს, ორ-ნახევარი წლის მოსარჩელე Jo Ann Nelson, მოპასუხის უკანა ეზოში, მოპასუხის ქალიშვილთან და სხვა

ბავშვებთან ერთად თამაშობდა „crack-the-whip“-ს<sup>1</sup>. Jo Ann თამაშისას სწორედ ამ „კუდის“ ბოლო მონაწილე იყო. როგორც მოწმის ჩვენებით დადასტურდა, თამაშის დროს ინერციით გასროლილი მოსარჩელე დაეცა ან მან ფეხი დააბიჯა ძაღლის კუდს, რომელიც ამ დროს ძვალს ღრღნიდა. ძაღლმა (დიდი ზომის დალმატინელი) მოსარჩელეს მარცხენა თვალში თათი გაჰკრა. საქმის გარემოებებით დასტურდებოდა, რომ შემთხვევის მომენტამდე მოსარჩელეს ან სხვა პირს არ გამოუწვევიათ ძაღლის პროვოცირება ან გაღიზიანება. ასევე, დასტურდებოდა რომ წარსულში ძაღლს არც უკბენია და არც რაიმე სხვა სახის დაზიანება მიუყენებია ვინმესთვის. ძაღლის მფლობელის განმარტებით, ძაღლი აგზნებული არ ჩანდა არც შემთხვევის მომენტამდე და არც მას შემდეგ. შემთხვევის შედეგად, მოსარჩელემ მარცხენა თვალის ცრემლსადენი სადინარის მუდმივი დაზიანება მიიღო.

საკანონმდებლო აქტი (ნორმა), რომელიც განსაზღვრავს ძაღლის მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხს, ძაღლის თავდასხმის ან მიყენებული დაზიანების შედეგად:

„თუ ძაღლი ან სხვა ცხოველი, პროვოკაციის გარეშე, თავს დაესხმება ან დაზიანებს პირს, რომელიც მშვიდობიანად იმყოფება ნებისმიერ ადგილზე, სადაც მას კანონიერად ყოფნის უფლება აქვს, ძაღლის ან სხვა ცხოველის მფლობელი ვალდებულია სრული ოდენობით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი“ (Ill. Rev. Stat. 1973, თავი 8, პარაგრაფი 366)

აღნიშნული ნორმის შესაბამისად არსებობს 4 ელემენტი, რომელიც უნდა დადასტურდეს: დაზიანება მიყენებულია მოპასუხის ძაღლის მიერ; პროვოკაციის ნაკლებობა; დაზარალებული პირის მშვიდობიანი ქცევა; და დაზარალებულის

ყოფნა იმ ადგილას, სადაც მას კანონიერად ყოფნის უფლება აქვს (*Siewerth v. Charleston*, 89 Ill. App.2d 64, 231 N.E.2d 644 (1967); *Messa v. Sullivan*, 61 Ill. App.2d 386, 209 N.E.2d 872 (1965); *Beckert v. Risberg*, 50 Ill. App.2d 100, 199 N.E.2d 811 (1964) rev'd on other grounds<sup>2</sup>, 33 Ill.2d 44, 210 N.E.2d 207 (1965)). მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს არ წარმოადგენს, რომ დაზიანება მიყენებულია მოპასუხის ძაღლის მიერ; მოსარჩელის ქმედება იყო მშვიდობიანი და მოპასუხემ დაზიანება მიიღო იმ ადგილზე, სადაც მას კანონიერად ყოფნის უფლება ჰქონდა. ნორმის მიზნებისთვის სადავო საკითხია — წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის არაგანზრახი ქმედება „პროვოკაციას“.<sup>3</sup>

ამ სახის დავის საგანი ილინოისის სასამართლო პრაქტიკაში პირველადია. ნორმა ერთმანეთისგან არ განასხვავებს პროვოკაციის განზრახ და არაგანზრახ ქმედებებს და მაშასადამე, მოპასუხე ამტკიცებს, რომ არაგანზრახი ქმედება, რომელიც ცხოველის ან ძაღლის პროვოცირებას ახდენს, შესაძლოა წარმოადგენდეს პროვოკაციას. მოპასუხის პოზიცია, რომ აქ პროვოკაციას არ ჰქონდა ადგილი, მისი სუბიექტური დამოკიდებულებიდან [განზრახვის არარსებობა] გამომდინარე, უკუსაგდება და არ შეესაბამება პროვოკაციის საყოველთაოდ აღიარებულ მნიშვნელობას. პროვოკაცია განისაზღვრება, როგორც პროვოცირების, სტიმულირების ან ნაქეზების აქტი ან პროცესი (ვებსტერის მესამე ახალი საერთაშორისო ლექსიკონი 1827 (1961)). ამდენად, არაგანზრახი ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს პროვოკაციას ნორმის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

მხოლოდ ქვემოთ განხილული სამი გადაწყვეტილება განიხილავს პროვოკაციის საკითხს ნორმის მიზნებისთვის. საქმეში *Siewerth v.*

<sup>1</sup> Crack the whip არის უმარტივესი საბავშვო თამაში, რომელსაც ჩვეულებრივ თამაშობენ პატარა ჯგუფებში, ბალახზე და ზოგჯერ ყინულზეც. ერთი მოთამაშე, რომელიც არჩეულია მათრახის „თავად“, რომელსაც ჩაბმული ჰყავს სხვა ხელჩაკიდებული მონაწილეები, დარბის შემთხვევითი მიმართულებებით, ყოველი შემობრუნებისას წარმოქმნილი ინერცია აჩქარებს ე.წ. ჯაჭვის კუდს (ბოლო მონაწილეს). რაც უფრო მკვეთრად ბრუნავს და რაც უფრო გრძელია კუდი, ბოლო მონაწილეებს უჭირთ წონასწორობის შენარჩუნება, რაც იწვევს

მათი სხვადასხვა მიმართულებით, ძლიერი ინერციით გასროლას. მოსარჩელემ თამაშის კუდის (ბოლო) ერთ-ერთი მონაწილე იყო.

<sup>2</sup> გაუქმდა ზედა ინსტანციის სასამართლოს მიერ სხვა გარემოებების საფუძველზე

<sup>3</sup> „Provocation“ გადაწყვეტილებაში საკვანძო განსაზღვრებაა. გადაწყვეტილების თარგმანში ტერმინი თარგმნილია, როგორც პროვოკაცია. Provocation აგრეთვე გულისხმობს გაღიზიანებას, გამოწვევას, შეგულიანებას ან გახელებას.

Charleston, სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო პროვოკაცია, როდესაც დაზარალებულმა ბიჭმა და მისმა თანხმლებმა ძალის სამჯერ დაარტყეს. ამ საქმეში სასამართლომ უარყო არგუმენტი, რომ პროვოკაცია მხოლოდ განზრახ ქმედებას გულისხმობს, და დაადგინა რომ დაზარალებული ბიჭის მიერ ძალისთვის წიხლის დარტყმა აშკარად განზრახი და პროვოკაციული ქმედებაა. საქმეში *Messa v. Sullivan* სასამართლომ არ დაადგინა პროვოკაცია მოსარჩელის მხრიდან, როდესაც ის მიდიოდა დერეფანში, რომელსაც მცველი ძალის ყარაულობდა, რომელიც მოსარჩელეს დანახვისთანავე თავს დაესხა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის ქმედება არ წარმოადგენს პროვოკაციას ნორმის მიზნებისთვის და მოსარჩელეს ჰქონდა მოპასუხის შენობაში ყოფნის უფლება. საქმეში *Messa v. Sullivan* მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონია ძალის პროვოცირების განზრახვა და შესაბამისად სახეზე არ იყო პროვოკაცია, მიუხედავად იმისა, სასამართლოს მსჯელობა ეფუძნებოდა იმის დადგენას, იყო თუ არა მოსარჩელის ქმედებები და ქცევა პროვოკაციული ბუნების, და არა იმას, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს ასეთი განზრახვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმის მიზნებისთვის „პროვოკაცია“ არ არის განსაზღვრული იმ მიზნით, რომ იგი გავრცელდეს ისეთ სიტუაციაზე, როდესაც ავი<sup>4</sup> ძალის სტუმრის უსაფრთხო მოძარაობას აღიქვამს როგორც მტრულ ქმედებას და მას თავს ესხმის. მსგავსად საქმეში *Steichman v. Hurst*, 2 Ill. App. 3d 415, 275 N.E.2d 679 (1971), სასამართლომ დაადგინა, რომ ფოსტის კურიერის მიერ მოპასუხის ძალისთვის სპრეის შესხმა არ წარმოადგენდა პროვოკაციას. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების მიხედვით, მოსარჩელის მიერ პროვოკაციის განზრახვის არარსებობა მატერიალურია, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს ამ გადაწყვეტილების სწორი გაგებაა. საქმეში *Steichman v. Hurst*, 2 Ill. App. 3d 415, 275 N.E.2d

679 (1971) ფოსტის (წერილების) კურიერს შემთხვევის დღეს რამდენჯერმე ჰქონდა მოპასუხის ძალთან პრობლემა და, შესაბამისად, მან არაერთგზის სცადა ძალის მოგერიება. სასამართლომ მისი ქმედება მიიჩნია, როგორც „გონივრული ზომა თავდაცვისთვის, რომელიც გამონვეულია ძალის ქმედებებით და მხოლოდ მის მომენტალურად შეკავებას ისახავდა მიზნად“. მაშასადამე, მოსარჩელის ქმედებები, მათ შორის განზრახი ქმედებები, არ წარმოადგენდა ძალის ნაქეზებას ან პროვოკაციას, რასაც თავდასხმის გამონვევა შეეძლო.

წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მოსარჩელე ძალს კუდზე დაახტა ან დაეცა; ძალის იყო მშვიდი და წყნარი და შემთხვევის დროს ძვალს ღრღნიდა. ამ გარემოებების საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ დაღმადინელი (ძალის) იყო პროვოცირებული, მიუხედავად იმისა, რომ პროვოკაცია არ იყო განზრახი.

მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ნორმის მიზნებისთვის გოგონას ქმედება არ შეიძლება შეფასდეს როგორც პროვოკაცია, რადგან გოგონას ქმედება არ იყო განზრახი, ან მას ასაკის გამო არ შეუძლია ბრალეული ქმედების გაცნობიერება. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის ადვოკატი წარადგენს ძლიერ არგუმენტს — ძალის მფლობელისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე „ნაზი“<sup>5</sup> ასაკის ბავშვისთვის მიყენებული დაზიანებებისთვის, ჩვენ ვერ გავიზიარებთ რომ ამ შტატს საჯარო პოლიტიკა აიძულებს ასეთი სტანდარტის მიღებას.

ილინოისის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ძალის მიერ მიყენებული დაზიანებების შედეგად პირს მფლობელისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ იგი დაამტკიცებს რომ ძალმა გამოავლინა „კაცობრიობის დაკბენის“<sup>6</sup> მიდრეკილება და რომ ძალის მეთვალყურემ ან მფლობელმა ეს შეამჩნია (*Chicago & Alton R.R. Co. v. Kuckkuck*, 197 Ill. 304, 64 N.E. 358 (1902); *Domm v. Hollenbeck*, 259 Ill. 382, 102 N.E. 782

<sup>4</sup> Vicious dog - ავ, სასტიკი, აგრესიულ ძალად შესაძლოა შეფასდეს ნებისმიერი ძალის, რომელიც პროვოკაციის გარეშე თავს ესხმის ან კლავს ადამიანს.

<sup>5</sup> „Tender years“ დოქტრინა არის პრეცედენტული სამართლის პრინციპი საოჯახო სამართალში და მზრუნვე-

ლობის საქმეებზე. დოქტრინის თანახმად, ბავშვის „ნაზი“ წლების განმავლობაში (ზოგადად განიხილება, როგორც ოთხი წელი და უფრო დაბალი ასაკი), დედას აქვს ბავშვზე ზრუნვის უმაღლესი უნარები და მას უნდა ჰქონდეს ბავშვის მეურვეობა.

<sup>6</sup> „To bite mankind“

(1913); *Klatz v. Pfeffer*, 333 Ill. 90, 164 N.E. 224 (1928)). პირს არ შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ ეს გამონეწეული იყო გაუფრთხილებლობით ან საშიშ ძალთან შეგნებულად კონტაქტით (*Chicago & Alton R.R. Co. v. Kuckkuck*) ან ძალის პროვოცირებით (*Keightlinger v. Egan*, 65 Ill. 235 (1872)). ძალის მფლობელის პასუხისმგებლობა ეყრდნობა გაუფრთხილებლობას და ის შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ჰყავდა „ავი“ ძალის. ამრიგად, ძალის მიერ დაზარალებულ პირს მტკიცების მნიშვნელოვანი ტვირთი აკისრია.

წინამდებარე კანონმა და მისმა უშუალო წინამორბედმა, არსებითად შეამსუბუქა პრეცედენტული სამართლის მიერ დაკისრებული ტვირთი. მის მიხედვით, აღარ არსებობს იმის მტკიცების აუცილებლობა, რომ ძალის ადამიანების მიმართ ავი იყო და იცოდა თუ არა მეპატრონემ ამის შესახებ, იგი ზედმეტად აქცევს ასევე იმ საკითხის გამოკვლევის აუცილებლობას, შეუწყო თუ არა ხელი მეპატრონის გაუფრთხილებლობამ ზიანის გამონეწევას (გარდა პროვოკაციისა) (*Beckert v. Risberg*, 33 Ill.2d 44, 210 N.E.2d 207 (1965)). თუმცა, არ მიგვაჩნია, რომ ის მიზნად ისახავდა მფლობელებისთვის მათი ძალების მიერ მიყენებული ყველა დაზიანებისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას, გარდა განზრახ პროვოცირებულისა. ამის ნაცვლად, საკანონმდებლო აქტის მიზანს ცხადად წარმოადგენდა სუბიექტური განსჯის<sup>7</sup> მაქსიმალურად აღმოფხვრა. ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ დაზიანებები მიიღო მაშინ, როდესაც იგი მშვიდობიანად იმყოფებოდა ადგილზე, სადაც კანონიერად ყოფნის უფლება ჰქონდა, არ საჭიროებს პირის განზრახვის კვლევას. მიგვაჩნია, რომ „პროვოკაციის“ განსაზღვრაც სწორედ ამ მსჯელობისგან დამოუკიდებლად უნდა მოხდეს. პროვოკაციის განსაზღვრა არ საჭიროებს განზრახვის (რაც იწვევს პროვოკაციას) ხარისხის გათვალისწინებას. საკანონმდებლო ორგანოს მიზანი განზრახ

ხი პროვოკაციისთვის ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავ გარემოებად განსაზღვრა რომ ყოფილიყო, ამას დააკონკრეტებდა კიდევ. დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ იმ ძალის მფლობელი ან მცველი, რომლის ძალისც თავს ესხმის ან დაზიანებას აყენებს სხვას, ყოველგვარი პროვოკაციის გარეშე, პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებაზე. აგრეთვე არ მიგვაჩნია, რომ მოსარჩელე მისი „ნაზი“ ასაკის გამო სრულად უნდა გათავისუფლდეს პროვოკაციის პასუხისმგებლობისგან. უზენაესმა სასამართლომ საქმეში, რომელშიც მოსარჩელე 3 წლის ბიჭი იყო, *Beckert v. Risberg*, 33 Ill.2d 44, 210 N.E.2d 207 (1965), გაიზიარა ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქცია, რომელიც პირდაპირ ეფუძნებოდა ნორმის ფორმულირებას. მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხილვისას ასაკი სასამართლოს მსჯელობის პირდაპირი საგანი არ ყოფილა, იგულისხმება რომ ნორმის შესაბამისად მცირეწლოვანი ბავშვი მისი ასაკის გამო არ შეიძლება განთავისუფლდეს პროვოკაციის პასუხისმგებლობისგან.

სასამართლო მიუთითებს სხვა შტატების გადაწყვეტილებებზე, რომელიც იძლევა დაზარალებული პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, როდესაც ამ პირის არაგანზრახმა ქმედებამ გამოიწვია ძალის „პროვოკაცია“. თუმცა, ეს ორი საქმე გადაწყდა პრეცედენტული სამართლის გაუფრთხილებლობის თეორიის საფუძველზე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ არაგანზრახი ქმედება არ წარმოადგენს ხელშემწყობ გაუფრთხილებლობას (*Smith v. Pelah*, 2 Strange 1264, 93 Eng. Rep. 1171 (1795); *Fake v. Addicks*, 45 Minn. 37, 47 N.W. 450 (1890)). ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებული ნორმა ითვალისწინებს ძალის მიერ მიყენებული დაზიანებებისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე მოსალოდნელი შედეგის წინასწარი ცოდნით იღებს დაზიანებებს<sup>8</sup> (*Wojewoda v. Rybarczyk*, 246 Mich.

<sup>7</sup> Consideration

<sup>8</sup> ე.წ. „ბრალეული ცოდნა“, მაგალითად, თუ დაზარალებულმა პირმა (მოსარჩელემ) ნებაყოფლობით გააკეთა რაიმე ძალის პროვოცირების მიზნით ან საკუთარი

თავისთვის ზიანის მიყენების მიზნით, აწესებს ერთგვარ გამონაკლისს მკაცრი პასუხისმგებლობის წესიდან.

641, 225 N.W. 555 (1929)). ზემოხსენებული გადაწყვეტილებები, მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების მიუხედავად, მოცემულ საქმესთან მიმართებით შეუსაბამოა, რადგან ისინი გადაწყდა იმ სამართლებრივ თეორიებზე დაყრდნობით, რომლებიც მოიცავს დაზარალებული პირის მიერ შედეგების წინაწარ სრულად გაცნობიერებას.

მიუხედავად იმისა, რომ მიგვაჩნია წინამდებარე ნორმა ძალის მფლობელს არ აკისრებს პასუხისმგებლობას როდესაც ძალის უბრალოდ რეაგირებს არაგანზრახ პროვოკაციულ ქმედებაზე, განხილული საქმე („წინამდებარე მიმართვა“) არ ეხება შემთხვევას როდესაც ძალის რეაქცია იყო ზედმეტად აგრესიული მომხდარ არაგანზრახ პროვოკაციულ აქტთან შედარებით (მაგ.: *Messa v. Sullivan.*). დალმატინელმა, რომე-

ლიც ძვალს ღრღნიდა მხოლოდ წინათათი გაჭკრა და გაკანრა მოსარჩელე, კუდზე ფეხის დაბიჯების ან დაცემის საპასუხოდ, რაც არცერთ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს, ძალის ავ (აგრესიულ) მოქმედებად. შესაბამისად, ვადგენთ რომ „პროვოკაცია“ ნორმის მიზნებისთვის მოიცავს, როგორც განზრახ ასევე არაგანზრახ ქმედებას — რომ მოპასუხის ძალის პროვოცირებული იყო მოსარჩელის არაგანზრახი ქმედებით და ძალს არ გამოუვლენია ავი (აგრესიული) რეაქცია ამ ქმედებებზე და რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად სწორია.

*გადაწყვეტილება თარგმნა და განმარტებები დაურთო ავთანდილ სოფრომაძემ, LL.M. (Chicago)*